

სს „საქართველოს განახლებადი ენერჯის
ოპერაციების“ (სს „ჯორჯია გლობალ
იუთილიტიზ“ ენერჯეტიკული სეგმენტი)

კომბინირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგება

*2021 და 2020 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კომბინირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის კომბინირებული ცალკე გამოყოფილი ანგარიშგება	1
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კომბინირებული ცალკე გამოყოფილი ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კომბინირებული ცალკე გამოყოფილი ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების კომბინირებული ცალკე გამოყოფილი ანგარიშგება.....	4

კომბინირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ.....	5
2. მომზადების საფუძველი	6
3. საოპერაციო გარემო	9
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა	10
5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	23
6. ძირითადი საშუალებები	24
7. სხვა გრძელვადიანი აქტივები	26
8. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები.....	26
9. კაპიტალი.....	26
10. ნასესხები სახსრები და გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	28
11. სავაჭრო და სხვა კრედიტორული ვალდებულებები	30
12. სხვა მიმდინარე ვალდებულებები	30
13. შემოსავალი ელექტროენერჯის რეალიზაციიდან.....	30
14. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	30
15. პროფესიული გასამრჯელო	30
16. სხვა საოპერაციო ხარჯები.....	31
17. ფინანსური ხარჯები	31
18. არარეგულარული ხარჯები	31
19. პირობითი ვალდებულებები	32
20. ფინანსური ინსტრუმენტები	33
21. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები	38
22. იჯარა.....	39
23. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	40



**Building a better
working world**

EY LLC
Kote Abkhazi Street, 44
Tbilisi, 0105, Georgia
Tel: +995 (32) 215 8811
Fax: +995 (32) 215 8822
www.ey.com/ge

შპს იუაი
საქართველო, 0105 თბილისი
კოტე აფხაზის ქუჩა 44
ტელ: +995 (32) 215 8811
ფაქსი: +995 (32) 215 8822

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „საქართველოს განახლებადი ენერჯის ოპერაციების“ მფლობელს და სამეთვალყურეო საბჭოს

მოსაზრება

ჩავატარეთ სს „საქართველოს განახლებადი ენერჯის ოპერაციების“ და მისი საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კონკრეტული საწარმოების (შემდგომში „ჯგუფი“) კომბინირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომლებიც შედგება ფინანსური მდგომარეობის კომბინირებული ცალკე გამოყოფილი ანგარიშგებებისგან 2021 წლის 31 დეკემბრის, 2020 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კომბინირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგებებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კომბინირებული ცალკე გამოყოფილი ანგარიშგებებისგან და ფულადი ნაკადების კომბინირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგებებისგან 2021 წლის 31 დეკემბრით და 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის, ასევე კომბინირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კომბინირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კომბინირებულ ცალკე გამოყოფილ ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის, 2020 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კომბინირებულ ცალკე გამოყოფილ ფინანსურ შედეგებსა და კომბინირებულ ცალკე გამოყოფილ ფულად ნაკადებს 2021 წლის 31 დეკემბრით და 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „*აუდიტორის პასუხისმგებლობა კომბინირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე*“. ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IESBA) „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის“ (საერთაშორისო დამოუკიდებლობის სტანდარტების ჩათვლით) (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA-კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.



Building a better
working world

ხელმძღვანელობისა და სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობა კომბინირებულ ცალკე გამოყოფილ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ კომბინირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კომბინირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კომბინირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა შეაფასოს, აქვს თუ არა ჯგუფს უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების პროცესის მეთვალყურეობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კომბინირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენ მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, კომბინირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე კომბინირებულ ცალკე გამოყოფილ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით, აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ▶ გამოვავლენთ და ვაფასებთ კომბინირებულ ცალკე გამოყოფილ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. არსებითი უზუსტობის რისკი, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.



Building a better
working world

- ▶ შვეიცარული აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოეთქვას ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- ▶ ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ექვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა ჯგუფი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებდნა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ კომბინირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს ჯგუფის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- ▶ მთლიანობაში ვაფასებთ კომბინირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს კომბინირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგების შესაბამის გარიგებებს და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.
- ▶ მოვიპოვეთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფის ფარგლებში არსებული სამეურნეო სუბიექტებისა და ბიზნეს ოპერაციების ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომ გამოთქვას მოსაზრება კომბინირებულ ცალკე გამოყოფილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხს ვაგებთ ჯგუფის აუდიტის წარმართვაზე, ზედამხედველობასა და შედეგებზე. ჩვენ უშუალოდ ვართ პასუხისმგებელი აუდიტორულ მოსაზრებაზე.

ჩვენ სამეთვალყურეო საბჭოს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადგებ, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომელსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

რუსლან ხოროშვილი

შპს „იუაის“ სახელით

თბილისი, საქართველო


5 აგვისტო, 2022 წელი


ფინანსური მდგომარეობის კომბინირებული ცალკე გამოყოფილი ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

	შენიშვნა	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 1 იანვარი
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	6	300,597	364,349	319,936
აქტივის გამოყენების უფლებები	22	1,254	1,279	699
სხვა გრძელვადიანი აქტივები	7	1,143	987	539
სულ გრძელვადიანი აქტივები		302,994	366,615	321,174
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		406	365	129
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	8	2,366	1,762	2,067
გაცემული სესხები		14	164	82
წინასწარ გადახდილი გადასახადები მოგების გადასახადის გარდა		1,262	1,440	2,164
ანაზღაურებადი აქტივები	6	2,318	2,808	46,457
სავაჭროდ ფლობილი ფინანსური აქტივები	21	8,122	-	-
გადახდილი ავანსები		369	284	102
ფულადი სახსრები, რომელთა გამოყენებაც შეზღუდულია	20	-	-	6,581
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში	20	36,948	63,262	20,218
სულ მიმდინარე აქტივები		51,805	70,085	77,800
სულ აქტივები		354,799	436,700	398,974
კაპიტალი				
შერწყმის რეზერვი	9	84,664	104,664	84,370
გაუნაწილებელი მოგება		(60,135)	(14,617)	(436)
სხვა რეზერვები	9	18,305	22,434	5,061
კაპიტალი, განკუთვნილი მშობელი კომპანიის მფლობელებისთვის		42,834	112,481	88,995
არამაკონტროლებელი წილები	9	-	-	24,895
სულ კაპიტალი		42,834	112,481	113,890
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
ნასესხები სახსრები და გამოშვებული ობლიგაციები	10	297,648	308,549	255,908
საიჯარო ვალდებულებები	22	1,191	1,140	605
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	18	550	1,472	1,436
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		299,389	311,161	257,949
მიმდინარე ვალდებულებები				
ნასესხები სახსრები და გამოშვებული ობლიგაციები	10	9,680	10,098	18,483
სავაჭრო და სხვა კრედიტორული ვალდებულებები	11	972	1,814	1,448
საიჯარო ვალდებულებები	22	118	97	52
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	12	1,185	-	5,479
საგადასახადო ვალდებულება, მოგების გადასახადის გარდა		621	1,049	1,673
სულ მიმდინარე ვალდებულებები		12,576	13,058	27,135
სულ ვალდებულებები		311,965	324,219	285,084
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		354,799	436,700	398,974

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელმოწერილია სს „საქართველოს განახლებადი ენერჯის ოპერაციების“ სახელით 2022 წლის 5 აგვისტოს:


 ზურაბ გორდუჯიანი
 გენერალური დირექტორი


 ნანა მშვიდლობაძე
 ფინანსური დირექტორი

5-41 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები ამ კომბინირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგების ნაწილია.

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კომბინირებული ცალკე გამოყოფილი ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

	შენიშვნა	2021	2020
შემოსავალი ელექტროენერჯის რეალიზაციიდან	13	43,309	38,258
შემოსულობა საქმიანობის შეწყვეტით გამოწვეული ანაზღაურებიდან	6	587	4,252
სხვა შემოსავალი		55	-
სულ ამონაგები და შემოსულობა		43,951	42,510
ელექტროენერჯის და გადაცემის ხარჯები		(524)	(221)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა ხარჯებელი	14	(929)	(1,063)
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა		(2,480)	(2,536)
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		(329)	(376)
პროფესიული გასამრჯელო	15	(732)	(677)
ნედლეული, საწვავი და სხვა სახარჯი მასალები		(285)	(55)
ტექნიკური მომსახურების ხარჯი		(2,631)	(2,801)
საოპერაციო საქმიანობაზე გაწეული სხვა ხარჯები	16	(1,963)	(1,734)
		(9,873)	(9,463)
EBITDA		34,078	33,047
ფინანსური შემოსავალი		1,293	355
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	17	(24,873)	(23,772)
წმინდა საკურსო ზარალი		(25)	(1,301)
ცვეთა და ამორტიზაცია	6,7, 22	(12,580)	(12,640)
ძირითადი საშუალებების გაუფასურება	6	(36,595)	-
ევრო ობლიგაციების რეფინანსირებასთან დაკავშირებული ხარჯები	10	(2,766)	-
ფინანსური ვალდებულებების დაფარვით გამოწვეული ზარალი	10	-	(10,002)
არარეგულარული ხარჯი, წმინდა	18	(4,050)	(575)
ზარალი მოგების გადასახადის გამოქვითვამდე		(45,518)	(14,888)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის ზარალი		(45,518)	(14,888)
მიკუთვნებადი შემდეგ პირებზე:			
კომპანიის მფლობელებზე		(45,518)	(14,152)
არამაკონტროლებელი წილები		-	(736)
სხვა სრული შემოსავალი			
<i>სხვა სრული შემოსავალი, რომლის შემდეგ პერიოდებზე მოგებად ან ზარალად რეკლასიფიცირებაც არ ხდება</i>			
წარდგენის ვალუტად კონვერტაციიდან წარმოშობილი საკურსო სხვაობები		(4,129)	15,298
წმინდა სხვა სრული შემოსავალი, რომლის შემდეგ პერიოდებზე მოგებად ან ზარალად რეკლასიფიცირებაც არ ხდება		(4,129)	15,298
წლის სხვა სრული (ზარალი) შემოსავალი		(4,129)	15,298
მთლიანი სრული (ზარალი) შემოსავალი წლის განმავლობაში		(49,647)	410
მიკუთვნებადი შემდეგ პირებზე:			
კომპანიის მფლობელებზე		(49,647)	2,604
არამაკონტროლებელი წილები		-	(2,194)

5-41 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები ამ კომბინირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგების ნაწილია.

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კომბინირებული ცალკე გამოყოფილი ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

	შერწყმის რეზერვი	სხვა რეზერვები	გაუნაწილებელი მოგება	სულ მშობელი კომპანიის მფლობელებზე მიკუთვნებადი კაპიტალი	არამაკონტრო- ლებელი წილები	სულ კაპიტალი
ნაშთი 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	84,370	5,061	(436)	88,995	24,895	113,890
წლის ზარალი	-	-	(14,152)	(14,152)	(736)	(14,888)
სხვა სრული შემოსავალი	-	16,756	-	16,756	(1,458)	15,298
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	16,756	(14,152)	2,604	(2,194)	410
მფლობელების შენატანი (მე-9 შენიშვნა)	3,108	-	-	3,108	-	3,108
განაწილებები მფლობელებზე (მე-9 შენიშვნა)	(4,927)	-	-	(4,927)	-	(4,927)
არამაკონტროლებელი პაკეტის შეძენა არსებულ შვილობილ კომპანიებში (მე-9 შენიშვნა)	22,113	617	(29)	22,701	(22,701)	-
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	104,664	22,434	(14,617)	112,481	-	112,481
წლის ზარალი	-	-	(45,518)	(45,518)	-	(45,518)
სხვა სრული ზარალი	-	(4,129)	-	(4,129)	-	(4,129)
წლის მთლიანი სრული ზარალი	-	(4,129)	(45,518)	(49,647)	-	(49,647)
შერწყმის რეზერვის შემცირება (მე-9 შენიშვნა)	(20,000)	-	-	(20,000)	-	(20,000)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	84,664	18,305	(60,135)	42,834	-	42,834

5-41 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები ამ კომბინირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგების ნაწილია.

ფულადი ნაკადების კომბინირებული ცალკე გამოყოფილი ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

	შენიშვნა	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან ზარალი მოგების გადასახადით დაბეგრამდე		(45,518)	(14,888)
<i>კორექტირებები:</i>			
ცვეთა და ამორტიზაცია	6,7,22	12,580	12,640
საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი		25	1,301
ფინანსური შემოსავალი		(1,293)	(355)
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	17	24,873	23,772
ფინანსური ვალდებულებების დაფარვით გამოწვეული ზარალი		-	10,002
შემოსულობა საქმიანობის შეწყვეტით გამოწვეული ანაზღაურებიდან	6	(587)	(4,252)
ძირითადი საშუალებების გაუფასურება	6	36,595	-
არარეგულარული ხარჯი, წმინდა		3,381	575
გრძელვადიანი აქტივების ჩამოწერა		(568)	-
ვერო ობლიგაციების რეფინანსირებასთან დაკავშირებული ხარჯები	10	2,766	-
<i>საბრუნავი კაპიტალის ცვლილება</i>			
ცვლილება სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში		(41)	(236)
ცვლილება სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებში		(604)	305
ცვლილება წინასწარ გადახდილ გადასახადებში, მოგების გადასახადის გარდა		178	724
ცვლილება გადახდილ ავანსებში		(85)	(182)
ცვლილება სავაჭრო და სხვა კრედიტორულ ვალდებულებებში		(842)	941
ცვლილებები ანაზღაურებად აქტივებში		587	11,246
ცვლილება სხვა საგადასახადო ვალდებულებებში		(428)	(624)
ცვლილება შეზღუდული წვდომის ფულად ნაკადებში		-	6,581
საოპერაციო ფულადი ნაკადები სავაჭრო ფასიან ქალაქებში ინვესტირებამდე		31,019	47,550
წმინდა ინვესტიცია სავაჭრო ფასიან ქალაქებში		(8,308)	-
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		22,711	47,550
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შესყიდვა ქონების დაზიანების ხარჯის მიღებული ანაზღაურება		(7,055)	(12,280)
შვილობილი კომპანიების შეძენისთვის გადავადებული ანაზღაურების გადახდა	12	-	(6,008)
დაფარული (გაცემული) სესხები		146	(71)
მიღებული პროცენტი		897	355
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული / (გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		(6,012)	22,888
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
საიჯარო ვალდებულებების ძირის დაფარვა		(231)	(245)
ამონაგები ნასესხები სახსრებიდან და გამოშვებული სავალო ფასიანი ქალაქებიდან	10	2,525	294,709
ნასესხები სახსრების და სავალო ფასიანი ქალაქების დაფარვა, მათ შორის სესხის წინსწრებით დაფარვისთვის გადახდილი საკომისიოს ჩათვლით	10	-	(298,537)
გადახდილი პროცენტი	10	(23,754)	(20,238)
გადახდილი ობლიგაციის გამოშვების საკომისიოები და ხარჯები		-	(4,435)
შენატანები მფლობელებისგან	9	-	3,108
განაწილებები მშობელ კომპანიაზე	9	(20,000)	(4,927)
ფინანსურ საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(41,460)	(30,565)
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(1,553)	3,171
წმინდა ცვლილება ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში		(26,314)	43,044
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	20	63,262	20,218
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	20	36,948	63,262

5-41 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები ამ კომბინირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგების ნაწილია

*(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)***1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ**

სს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზ“ (შემდგომში „GGU“ ან „მშობელი კომპანია“) არის საქართველოში დაფუძნებული ჰოლდინგური კომპანია, რომელიც ფუნქციონირებს ორ საოპერაციო სეგმენტში გაყიდული პროდუქტების და გაწეული მომსახურებების საფუძველზე: (1) ელექტროენერჯის გამომუშავება და რეალიზაცია („GGU-ის ენერგეტიკული სეგმენტი“) და (2) წყალმომარაგების და წყალარინების მომსახურებები („GGU“-ის კომუნალური წყალმომარაგების სეგმენტი).

„ჯორჯია გლობალ იუთილითიზ“ არის 250 მილიონი აშშ დოლარის ევრო ობლიგაციის ემიტენტი, რომლებიც ირლანდიის საფონდო ბირჟაზე 2020 წლის ივლისში დარეგისტრირდა. 2020 წელს ევრო ობლიგაციების გამოშვებამდე და მათთან კავშირში სს „Georgia Capital“-მა (GCAP), „ჯორჯია გლობალ იუთილითიზის“ მაკონტროლებელმა მფლობელმა განახორციელა რამდენიმე შვილობილის კონტრიბუცია „ჯორჯია გლობალ იუთილითიზის“ ენერგეტიკულ სეგმენტში, „GGU“-ის მიერ გამოშვებული აქციების სანაცვლოდ (მე-9 შენიშვნა). ეს შენატანი აღირიცხა საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოთა გაერთიანებად ინტერესების გაერთიანების მეთოდით (შედარებადი ინფორმაციის გადაანგარიშებით) „ჯორჯია გლობალ იუთილითიზის“ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

„ჯორჯია გლობალ იუთილითიზის“ და მისი შვილობილი კომპანიების იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი 0179, მედეა (მზია) ჯუღელის ქ. #10.

2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, „GCAP“ „ჯორჯია გლობალ იუთილითიზის“ 100%-ს ფლობდა. „GCAP“-ის 100%-ის მფლობელია შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „საქართველოს კაპიტალი“ (მითითებულ თარიღებში „GGU“-ის საბოლოო მშობელი კომპანია), ინგლისში რეგისტრირებული და ლონდონის საფონდო ბირჟაზე აღრიცხული იურიდიული პირი.

2021 წლის 31 დეკემბერს შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „საქართველოს კაპიტალმა“ გამოაცხადა, რომ „GCAP“ ყიდდა კომუნალური წყალმომარაგების ბიზნესის 80%-იანი წილს კომპანიაზე FCC „Aqualia“ (შემდგომში „Aqualia“) ორეტაპიანი გარიგებით.

2022 წლის თებერვალში დასრულებული გარიგების პირველი ეტაპი (მე-9 შენიშვნა) მოიცავდა უშუალო „ჯორჯია გლობალ იუთილითიზში“ საწესდებო კაპიტალში 65%-იანი წილის თავდაპირველ რეალიზაციას (რომელიც კომუნალური წყალმომარაგების ბიზნესის ეკონომიკური წილი 80%-ს შეადგენს).

გარიგების მეორე ეტაპი 2022 წლის მესამე კვარტალში „ჯორჯია გლობალ იუთილითიზის“ მიერ გამოშვებული 250 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით ევრო ობლიგაციების გამოსყიდვას მოჰყვება, რომელიც დაფინანსდება „Aqualia“-ს და „GCAP“-ის მიერ აქციონერული სესხით „ჯორჯია გლობალ იუთილითიზში“ მათი წილების პროპორციულად. ობლიგაციების გამოსყიდვის და საწარმოს გამოყოფის გზით საოპერაციო განახლებადი ენერჯის აქტივების გაყოფის შემდეგ, „GCAP“ ადადგენს ჯგუფის განახლებადი ენერგეტიკული აქტივების სრულ მფლობელობას, ხოლო „Aqualia“-ს საკუთრების უფლება კომუნალური წყალმომარაგების ბიზნესში 80%-ით გაიზრდება. გარიგების მეორე ეტაპის დამთავრება მოსალოდნელია 2022 წლის სექტემბრის ბოლოსთვის.

*(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)***1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ (გაგრძელება)**

ზემოხსენებულის შესაბამისად, 2022 წელს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზმა“ და მისმა შვილობილმა კომპანიებმა („ჯორჯია გლობალ იუთილითიზის“ ჯგუფი) წამოიწყეს კორპორაციული რეორგანიზაცია „ჯორჯია გლობალ იუთილითიზის“ ენერგეტიკული სეგმენტის „GCAP“-სთვის გაყოფის მიზნით. 2022 წლის ივნისში მშობელმა კომპანიამ დააფუძნა 100%-იანი მფლობელობით შვილობილი კომპანია სს „საქართველოს განახლებადი ენერჯის ოპერაციები“ (შემდგომში „კომპანია“ ან „GRPO“) და წამოიწყო „ჯორჯია გლობალ იუთილითიზ“ ენერგეტიკული სეგმენტის შვილობილი კომპანიების სს „საქართველოს განახლებადი ენერჯის ოპერაციებისთვის“ ამ უკანასკნელის მიერ წილობრივი ინსტრუმენტების გამოშვების სანაცვლოდ გადაცემის გეგმა. ამის შემდეგ სს „საქართველოს განახლებადი ენერჯის ოპერაციები“ გეგმავს ადგილობრივი ობლიგაციების გამოშვებას და საქართველოს საფონდო ბირჟაზე მათ რეგისტრაციას. წინამდებარე კომბინირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგებების გამოშვების თარიღში „ჯორჯია გლობალ იუთილითიზის“ ენერგეტიკული სეგმენტის შვილობილი კომპანიების (მოცემულია მე-2 შენიშვნის თავში „განცალკევების და კომბინირების საფუძველი“) გადაცემის პროცესი არ დასრულებულა.

ობლიგაციების ლისტინგში აღრიცხვის და „ჯორჯია გლობალ იუთილითიზის“ ენერგეტიკული სეგმენტის გაყოფისა და სს „საქართველოს განახლებადი ენერჯის ოპერაციების“ დაფუძნების მიზნით, „ჯორჯია გლობალ იუთილითიზის“ ენერგეტიკული სეგმენტის ხელმძღვანელობამ მოამზადა სს „საქართველოს განახლებადი ენერჯის ოპერაციების“ წინამდებარე კომბინირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგებები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.

2. მომზადების საფუძველი*შესაბამისობა*

წინამდებარე კომბინირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

განცალკევების და კომბინირების საფუძველი

წინამდებარე კომბინირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია კომბინირებული საწარმოების ფინანსური ანგარიშგებებიდან, იმ გათვლით, რომ სს „საქართველოს განახლებადი ენერჯის ოპერაციების“ დაფუძნება და „ჯორჯია გლობალ იუთილითიზის“ რეორგანიზაციის პროცესი დასრულებულია 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე იმ დაშვებით, რომ სს „საქართველოს განახლებადი ენერჯის ოპერაციების“ ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღი ემთხვევა „ჯორჯია გლობალ იუთილითიზის“ ფასს სტანდარტებზე გადასვლის თავდაპირველ თარიღს. „ჯორჯია გლობალ იუთილითიზის“ ენერგეტიკული სეგმენტის შვილობილი კომპანიების აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც ქვემოთ ცხრილშია წარმოდგენილი (ერთად „GRPO“-ის შვილობილი კომპანიები“ ან „ჯგუფი“) აღიარებული იყო წინამდებარე კომბინირებულ ცალკე გამოყოფილ ფინანსურ ანგარიშგებებში საბალანსო ღირებულებით, „ჯორჯია გლობალ იუთილითიზის“ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად, ყველა გაცხადებული პერიოდებისთვის, საერთო კონტროლს ქვეშ ყოფნის პერიოდში, რაც წარმოადგენს კონკრეტული განაწილებების კორექტირების საგანს, რაც ქვემოთ იქნება აღწერილი:

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

	რეგისტრაციის ქვეყანა	შემდგომი / დაფუძნების თარიღი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 1 იანვარი
სს „სვანეთი ჰიდრო“	საქართველო	2017 წლის 20 აპრილი	100%	100%	65%
შპს „ჯორჯია ენერჯი ჰოლდინგ“***	საქართველო	2019 წლის 26 სექტემბერი	-	-	100%
შპს „ჰიდროლუა“	საქართველო	2019 წლის 28 ოქტომბერი	100%	100%	100%
შპს „გეოენერჯი“	საქართველო	2019 წლის 28 ოქტომბერი	100%	100%	100%
შპს „ჰიდრო ჯორჯია“	საქართველო	2019 წლის 28 ოქტომბერი	100%	100%	100%
შპს „კასლეთი 2“	საქართველო	2019 წლის 28 ოქტომბერი	100%	100%	100%
შპს „დარჩი“	საქართველო	2019 წლის 28 ოქტომბერი	100%	100%	100%
შპს „საქართველოს ქარის კომპანია“	საქართველო	2019 წლის 18 ივნისი	-	-	100%
შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური“	საქართველო	2019 წლის 31 დეკემბერი	100%	100%	100%

* 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, „RP Global“ დოქტორი გერჰარდ მატზინგერის კონტროლის ქვეშ ავსტრიაში დაფუძნებული საწარმო, ფლობს „სვანეთი ჰიდროს“ საკუთრების 35%-იან წილს. 2020 წელს „GCAP“-მა შეიძინა „სვანეთი ჰიდროს“ დამატებითი 35%, რომელიც „ჯორჯია გლობალ იუთილითიზის“ კაპიტალში შენატანს წარმოადგენს მისი წილობრივი ინსტრუმენტების სანაცვლოდ, რითაც „ჯორჯია გლობალ იუთილითიზ“ „სვანეთი ჰიდროს“ 100%-იანი მფლობელია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

** შპს „ჯორჯია ენერჯი ჰოლდინგ“ და შპს „საქართველოს ქარის კომპანია“ 2020 წელს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზს“ შეერწყა.

წინამდებარე კომბინირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას, განხორციელდა „ჯორჯია გლობალ იუთილითიზის“ ჰოლდინგური კომპანიის აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლის, ხარჯების და ფულადი ნაკადების განაწილება:

- 1) 2020 წლის ივლისის თვეში „ჯორჯია გლობალ იუთილითიზის“ მიერ 250 მილიონი აშშ დოლარის ევრო ობლიგაციების გამოშვების შემდეგ, რომლის ამონაგები არსებული მესამე პირის ვალის, სს „საქართველოს განახლებადი ენერჯის ოპერაციების“ შვილობილი კომპანიების დასაფინანსებლად იქნა გამოყენებული, „ჯორჯია გლობალ იუთილითიზის“ მიერ გაცემული შიდაჯგუფური სესხებით. სს „საქართველოს განახლებადი ენერჯის ოპერაციებმა“ აღიარა „ჯორჯია გლობალ იუთილითიზის“ ყველა განაწილება 2020 წლის 250 მილიონი აშშ დოლარის ევრო ობლიგაციებიდან 98,3 მილიონი აშშ დოლარის (304,6 ლარი) და 97,2 აშშ დოლარის (318,5 ლარი) ოდენობით 2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წინამდებარე კომბინირებულ ცალკე გამოყოფილ ფინანსურ ანგარიშგებებში. ამ განაწილებულ ვალთან დაკავშირებული ფინანსური ხარჯები აღიარებულია მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კომბინირებულ ცალკე გამოყოფილ ანგარიშგებაში, შესაბამისად „ჯორჯია გლობალ იუთილითიზის“ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში განსაზღვრული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, ასევე „ჯორჯია გლობალ იუთილითიზის“ ევრო ობლიგაციების გამოშვებიდან მიღებული ამონაგების შესაბამისი წილი და შემდგომი ევრო ობლიგაციებზე გადახდილი კუპონური ფულადი ანგარიშსწორება, წარდგენილია ფულადი ნაკადების კომბინირებულ ცალკე გამოყოფილ ანგარიშგებაში. წინამდებარე კომბინირებულ ცალკე გამოყოფილ ფინანსურ ანგარიშგებებში არ არის აღიარებული „ჯორჯია გლობალ იუთილითიზის“ ევრო ობლიგაციებთან დაკავშირებით სს „სვანეთი ჰიდროს“, შპს „ჰიდროლუას“ და შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგურის“ მიერ გაცემული ფინანსური გარანტია ვალდებულებების ორმაგი დათვლის თავიდან ასაცილებლად.

*(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)***2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)**

- 2) 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური მდგომარეობის კომბინირებულ ცალკე გამოყოფილ ანგარიშგებაში აღიარებული იყო „ჯორჯია გლობალ იუთილითიზისგან“ მიღებული სავაჭრო ფინანსური აქტივები და ფულადი ნაშთები, რომლებიც შეადგენდა 8,122 ლარს და 3,336 ლარს, შესაბამისად, რომლებიც წარმოადგენდა „ჯორჯია გლობალ იუთილითიზის“ ენერგეტიკულ სეგმენტზე მიკუთვნებად ფულად სახსრებს და სხვა ლიკვიდურ აქტივებს.
- 3) „ჯორჯია გლობალ იუთილითიზის“ ჰოლდინგური კომპანიის საოპერაციო ხარჯების გადანაწილებამ მთლიანობაში 332 ლარი და 343 ლარი შეადგინა 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, შესაბამისად, და ის წარმოადგენდა განახლებად ენერჯისთან დაკავშირებულ წილს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზის“ ჰოლდინგური კომპანიის მიერ საქმიანობის წარმოების მიმდინარე ხარჯებში.

სხვაობა ჯგუფის აქტივებსა და ვალდებულებებს შორის, ზემოთ განსაზღვრულის შესაბამისად, ფინანსური მდგომარეობის კომბინირებულ ცალკე გამოყოფილ ანგარიშგებაში წარდგენილია როგორც კაპიტალი. იმის გათვალისწინებით, რომ 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს „საქართველოს განახლებადი ენერჯის ოპერაციები“ ჯერ არ იყო შექმნილი, სააქციო კაპიტალი არ არის წარმოდგენილი წინამდებარე კომბინირებულ ცალკე გამოყოფილ ანგარიშგებაში. ამის ნაცვლად, ჯგუფი შერწყმის მარაგებს წარმოადგენს, როგორც საბალანსო კაპიტალის კომპონენტს. შერწყმის მარაგი აღმოიფხვრება და ჩანაცვლდება სააქციო კაპიტალით და საემისიო შემოსავლით ან მსგავსი ანგარიშებით სს „საქართველოს განახლებადი ენერჯის ოპერაციების“ შექმნისთანავე.

წინამდებარე კომბინირებულ ცალკე გამოყოფილ ფინანსურ ანგარიშგებებში შესული საწარმოების მიერ კონტროლირებული შვილობილი კომპანიები კონსოლიდირებული არიან. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც ჯგუფი იღებს, ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება და შეუძლია ამ უკუგებაზე ზემოქმედება, ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო. კერძოდ, ჯგუფი აკონტროლებს ინვესტიციის ობიექტს მხოლოდ მაშინ, როდესაც:

- ▶ ჯგუფს აქვს ინვესტიციის ობიექტზე ზეგავლენა (ანუ ამჟამინდელი უფლებები მას საშუალებას აძლევს, ინვესტიციის ობიექტის რელევანტური საქმიანობა მართოს);
- ▶ ჯგუფი იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება;
- ▶ შეუძლია უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გზით.

გავრცელებული მოსაზრებით, ხმის უფლების მქონე აქციების უმრავლესობა კონტროლის უფლებას იძლევა.

შვილობილი კომპანიის კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც ჯგუფი მოიპოვებს კონტროლს შვილობილ კომპანიებზე და წყდება მაშინ, როდესაც ჯგუფი კარგავს მასზე კონტროლს. შვილობილი კომპანიის წლის განმავლობაში შექმნილი ან გასხვისებული აქტივები, ვალდებულებები, შემოსავალი და ხარჯები აისახება კომბინირებულ ცალკე გამოყოფილ ფინანსურ ანგარიშგებებში შვილობილ კომპანიაზე ჯგუფის მიერ კონტროლის შექმნის თარიღიდან კონტროლის დაკარგვის თარიღამდე.

მოგება-ზარალი და სხვა სრული შემოსავლის თითოეული კომპონენტი მიეკუთვნება ჯგუფის მშობელი კომპანიის კაპიტალის მფლობელებს. საჭიროების შეთხვევაში ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების დაკორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან. ჯგუფის წევრებს შორის შემდგარ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა ჯგუფის შიდა აქტივი და ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად გაიქვითება.

*(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)***2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)***ზოგადი ინფორმაცია*

წინამდებარე კომბინირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით და პირვანდელი ღირებულების კონვენციით, გარდა სავაჭრო ფინანსური აქტივებისა, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება მოგება-ზარალში ასახვით.

წინამდებარე კომბინირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

3. საოპერაციო გარემო

ჯგუფის საქმიანობა კონცენტრირებულია საქართველოში. რადგანაც ქვეყანა ჯერ კიდევ ფორმირების პროცესში მყოფი ბაზარია, მას არა აქვს კარგად განვითარებული ბიზნესის ინფრასტრუქტურა და ნორმატიული ბაზა, რაც უფრო განვითარებულ საბაზრო ეკონომიკებს ახასიათებთ. საქართველოში საქმიანობა შესაძლოა მოიცავდეს რისკებს, რომლებიც, ჩვეულებრივ, არ არსებობს განვითარებულ ბაზრებზე (მათ შორის რისკს, რომ ქართული ლარი არ არის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა ქვეყნის ფარგლებს გარეთ, არსებობს ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობის რისკები, და სასესხო და კაპიტალის ბაზრები არ არის სათანადოდ განვითარებული). თუმცა, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა საბანკო, იურიდიული, საგადასახადო და მარეგულირებელი სისტემების ჩამოყალიბებისათვის საჭირო რეფორმების სახით, რაც დადებითად აისახება ზოგად საინვესტიციო კლიმატზე. ამ რეფორმებს შორის არის ახალი კანონმდებლობის მიღება, ახალი საგადასახადო კოდექსისა და საპროცესო კანონების ჩათვლით. ხელმძღვანელობის აზრით, აღნიშნული ნაბიჯები ამცირებს ბიზნესის წარმოების რისკებს საქართველოში.

მოსალოდნელია ბიზნესგარემოს გაუმჯობესებისკენ მიმართული არსებული ტენდენციის გაგრძელება. ქართული ეკონომიკის მომავალი სტაბილურობა დიდწილად არის დამოკიდებული ამ რეფორმებზე და იმაზე, თუ ქვეყნის ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები რამდენად იქნება ეფექტური ეკონომიკური, ფინანსური და ფულადი-საკრედიტო პოლიტიკის განვითარებისათვის. ამის მიუხედავად, საქართველოს ეკონომიკაზე გავლენას ახდენს განვითარებულ ქვეყნებში საბაზრო კრიზისი და ეკონომიკური განვითარების შეფერხება.

2020 წლის მარტის თვეში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ახალი კორონავირუსი (კოვიდ-19) გლობალურ პანდემიად გამოაცხადა. არსებობს პანდემიით გამოწვეული გლობალური შენელების მასშტაბების და ქართულ ეკონომიკაზე მისი გავლენის განსაზღვრასთან დაკავშირებული განუსაზღვრელობა. პირველად კოვიდ-19-ით ინფიცირების ფაქტი დაავადებათა კონტროლის ეროვნულმა ცენტრმა 2020 წლის თებერვალში დაადასტურა. საქართველოს მთავრობამ გაატარა კოვიდ-19-ის გავრცელების შემაკავებელი რამდენიმე ღონისძიება, რომლებსაც მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური გავლენა ჰქონდა. ჯგუფი აკონტროლებს კოვიდ-19-ის გავრცელების გავლენას მის საქმიანობაზე, კლიენტებსა და თანამშრომლებზე და იცავს საქართველოს მთავრობის მიერ გაცემულ ყველა ოფიციალურ სახელმძღვანელო მითითებას, რათა დაიცვას თავისი ხალხი და უზრუნველყოს საქმიანობის უწყვეტობა.

*(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)***3. საოპერაციო გარემო (გაგრძელება)***ძირითადი საშუალებების გაუფასურება*

ჯგუფის ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ კოვიდ-19-ის ეპიდემიის აფეთქებას არსებითი გავლენა არ ჰქონია ელექტროენერჯის გამომუშავების ანაზღაურებადობაზე. ელექტროენერჯის გამომუშავების საბოლოო ღირებულებაზე არსებითად არ უმოქმედია მიმდინარე ეკონომიკურ დადმასვლას. ხელმძღვანელობის შეფასებით, მოსალოდნელი არ არის ენერგეტიკული საქმიანობის აქტივებიდან საოპერაციო თავისუფალ ფინანსურ ნაკადებში მნიშვნელოვანი კლება, რაც ასახავს ჰპოვებს მათ ანაზღაურების თანხაზე ინდივიდუალური აქტივების ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის დონეზე, რომელიც 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მათ საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები იქნება, გარდა „მესტიაჭალა 1“-ის აქტივებისა, რომლებიც ფიზიკურად დაზიანდა კლდის ჩამოშლის გამო (მე-6 შენიშვნა).

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა**სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა**

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯგუფის კომბინირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგებების გამოშვების თარიღისთვის ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. ჯგუფი ამ ახალი და შეცვლილი სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღებას აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე, თუკი ისინი ჯგუფს მიესადაგება.

- ▶ ფასს (IFRS) 17 („სადაზღვევო ხელშეკრულებები“) ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვრიდან დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის, და სავალდებულოა შედარებადი რიცხოვრივი მონაცემების წარმოდგენა. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენებაც, თუ საწარმო ასევე გამოიყენებს ფასს (IFRS) 9-სა და ფასს (IFRS) 15-ს, ფასს (IFRS) 17-ის პირველად გამოყენებამდე ან გამოყენების დღეს.
- ▶ ცვლილებები ბასს (IAS) 1-ში - „ვალდებულებების მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიცირება“ - ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის. აღნიშნული ცვლილება გამოიყენება რეტროსპექტულად.
- ▶ ცვლილებები ფასს (IFRS) 3-ში: „კონცეპტუალური მიდგომა“ - ძალაშია 2020 წლის 1 იანვრიდან დაწყებული და შემდგომი საანგარიშგებო პერიოდებისთვის და მისი გამოყენება პერსპექტიულად ხდება.
- ▶ ცვლილებები ბასს (IAS) 16-ში: „ძირითადი საშუალებები: შემოსავალი დანიშნულებისამებრ გამოყენებამდე“ ძალაშია 2022 წლის 1 იანვარს და ამ პერიოდის შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის და ის რეტროსპექტულად უნდა იქნას გამოყენებული იმ ძირითად საშუალებებთან დაკავშირებით, რომლებიც ამოსაყენებლად ხელმისაწვდომი გახდა ყველაზე ადრე წარმოდგენილი პერიოდის დაწყებისას ან მის შემდეგ, როდესაც საწარმო პირველად გამოიყენებს ამ ცვლილებას.
- ▶ ცვლილებები ბასს (IAS) 37-ში: „დამამძიმებელი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ბარჯი“ - ძალაშია 2022 წლის 1 იანვრიდან მოქმედი წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის.
- ▶ ფასს (IFRS) 1 - „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება“ - შვილობილი კომპანიები, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს - ძალაშია 2022 წლის 1 იანვარს ან უფრო გვიან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის, ნებადართულია მისი ვადაზე ადრე მიღება.
- ▶ ფასს (IFRS) 9-ის - „ფინანსური ინსტრუმენტები - გადასახდელეები „10-პროცენტის“ ტესტის ფარგლებში, ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტისთვის“ ძალაში შედის 2022 წლის 1 იანვარს ან უფრო გვიან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია მისი ვადაზე ადრე მიღება.

*(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)***4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)****სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)**

- ▶ ბასს (IAS) 41 - „სოფლის მეურნეობა - დაბეგვრა სამართლიანი ღირებულებით შეფასებაში“ - ცვლილება ძალაში შედის 2022 წლის 1 იანვარს ან უფრო გვიან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია მისი ვადაზე ადრე მიღება.
- ▶ ბასს (IAS) 8-ის ცვლილება „სააღრიცხვო შეფასებების განმარტება“ ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს დაწყებული და მისი მომდევნო წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის და ვრცელდება ამ პერიოდში ან მისი დაწყების შემდეგ სააღრიცხვო პოლიტიკაში და სააღრიცხვო შეფასებებში განხორციელებულ ცვლილებებზე. ვადაზე ადრე გამოყენება ნებადართულია ამ ფაქტის გამჟღავნების პირობით
- ▶ „სააღრიცხვო პოლიტიკებთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნა“ - ბასს (IAS) 1-ის ცვლილება და განცხადება 2 ფასს-ების გამოყენების პრაქტიკის შესახებ ცვლილება - ვრცელდება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე, ამასთან ნებადართულია ცვლილებების ვადაზე ადრე გამოყენება.

ამ მომენტისთვის ჯგუფი აფასებს შეცვლილი სტანდარტების და ცვლილებების გავლენას, მაგრამ არ მოელის, რომ მათ არსებითი გავლენა ექნება მის კომბინირებულ ცალკე გამოყოფილ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა

ჯგუფი სავაჭრო ფინანსური აქტივების მსგავს ფინანსურ ინსტრუმენტებს და საინვესტიციო ქონების მსგავს კონკრეტულ არაფინანსურ აქტივებს აფასებს სამართლიანი ღირებულებით ყოველი საბალანსო ანგარიშის შედგენის თარიღით. ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება წარმოდგენილია მე-20 შენიშვნაში.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად, ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულებით შეფასება ეყრდნობა იმ ვარაუდს, რომ ადგილი აქვს აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგებას:

- ▶ აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე, ან
- ▶ მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

მთავარი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი ჯგუფისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით. არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან მისი მიყიდვით ბაზრის სხვა მონაწილისათვის, რომელიც ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

ჯგუფი ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძებნება, რომლებიც მაქსიმალურად იყენებს საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად - არაემპირიულ მონაცემებს.

*(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)***4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)****სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა (გაგრძელება)**

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ან კომბინირებულ ცალკე გამოყოფილ ფინანსურ ანგარიშგებებში ასახული ყველა აქტივი და ვალდებულება ნაწილდება ქვემოთ წარმოდგენილი სამართლიანი ღირებულების იერარქიის მიხედვით, რაც ეყრდნობა იმ ყველაზე დაბალი დონის ამოსავალ მონაცემს, რომელიც მნიშვნელოვანია მთლიანად სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად:

- ▶ დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკოტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე.
- ▶ დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა.
- ▶ დონე 3 – ღირებულების განსაზღვრის მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა.

ჯგუფი განსაზღვრავს კომბინირებულ ცალკე გამოყოფილ ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

ფინანსური აქტივები

ფასს (IFRS) 9-ის ფარგლებში, თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირება ხდება როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

სავაჭრო დებიტორული დავალიანებების გარდა, რომელიც არ მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც ჯგუფი პრაქტიკულ გამოცდილებას იყენებს, ჯგუფი ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აფასებს მისი სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება გარიგების დანახარჯები იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით. სავაჭრო დებიტორული დავალიანებები, რომლებიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, ან რომლისთვისაც ჯგუფმა პრაქტიკულ გამოცდილებას მიმართა, ფასდება ფასს (IFRS) 15-ით განსაზღვრული გარიგების ფასით.

შემდგომი შეფასების მიზნით, ჯგუფის ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია ფინანსურ აქტივებად ამორტიზებული ღირებულებით, რაც მოიცავს სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებს? შეზღუდული გამოყენების უფლების მქონე ფულად სახსრებს და ბანკში არსებულ ნაღდ ფულს. ჯგუფი არ ფლობს სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში აღრიცხულ ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში (FVPL) აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს, გარდა სავაჭრო ფინანსური ინსტრუმენტებისა. ჯგუფის ფინანსური აქტივები შედის მიმდინარე აქტივებში, თუ მათი ვადა საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან 12 თვეზე ხანგრძლივი არ არის. ასეთი სესხები მიეკუთვნება გრძელვადიან აქტივებს.

*(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)***4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)****ფინანსური აქტივები (გაგრძელება)**

ჯგუფი ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა დაკმაყოფილებულია:

- ▶ ფინანსური აქტივი ამ ბიზნესმოდელის მიხედვით მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით; და
- ▶ ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდეგ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ექვემდებარება გაუფასურებას. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

მოგებასა და ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები

ჯგუფის სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში აღრიცხული ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭროდ ფლობილ ფინანსურ აქტივებს.

ჯგუფი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენს სავაჭროდ ფლობილის სახით, თუ მათი შეძენის ან წარმოშობის უპირატესი მიზანია მოგების გამომუშავება ფასებში მოკლევადიანი ცვალებადობიდან ან სადილერო მარჟიდან, ან იმ შემთხვევაში, თუ ის იდენტიფიცირებული ინსტრუმენტების პორტფელის ნაწილს წარმოადგენს, რომელთა მართვა ერთობლივად ხდება და რომლისთვისაც არსებობს მოკლევადიანი მომგებიანობის მიმდინარე ფაქტიური შაბლონი.

სავაჭროდ ფლობილი ფინანსური აქტივები მოიცავს საწარმოს მიერ ფასიდან ან სადილერო მარჟიდან მოკლევადიანი მოგების მიზნით შეძენილ სავალო ფასიან ქაღალდებს. გასაყიდად არსებულ ინსტრუმენტებზე შემოსულობა და ზარალი აისახება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო დებიტორული დავალიანებების გაუფასურება

ჯგუფი აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ყველა სასესხო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეყრდნობა სხვაობას ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ფულად ნაკადებსა და ჯგუფის მოსალოდნელ ყველა ფულად ნაკადს შორის, და დისკონტირებულია თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთთან მიახლოებული განაკვეთით.

სავაჭრო დებიტორული დავალიანებებისთვის ჯგუფი იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, ჯგუფი ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის.

*(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)***4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)****ფინანსური აქტივები (გაგრძელება)**

ფინანსური აქტივი გაუფასურებულია, როდესაც წარმოიქმნება ერთი ან მეტი მოვლენა, რომელსაც უარყოფითი გავლენა ექნება ამგვარი ფინანსური აქტივების მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე. გაუფასურებაზე შეიძლება მიანიშნებდეს შემდეგი:

- ▶ კონტრაქტის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები;
- ▶ ხელშეკრულების დარღვევა, ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვადაგადაცილების გზით;
- ▶ მოსალოდნელია მსესხებლის გაკოტრება ან სხვაგვარი ფინანსური რეორგანიზაცია; ან
- ▶ კონტრაქტის გადახდების სტატუსში უარყოფითი ცვლილებაა, რომელიც გამოწვეულია ქვეყნის მასშტაბით ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობების ისეთი ცვლილებებით, რომლებიც გავლენას ახდენს მხარეზე.

თუ მომდევნო წლის განმავლობაში შეფასებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გაიზრდება ან შემცირდება, თავდაპირველად აღიარებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გაიზრდება ან შემცირდება, გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით. თუ მომავალი ჩამოწერილი თანხა მოგვიანებით იქნება ამოღებული, ის დაკრედიტდება მოგება-ზარალში სავაჭრო დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვში უარყოფითი ნიშნით, როგორც გაუფასურების შემობრუნება.

რეგულარულად ხდება სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასების იმ მეთოდოლოგიის და დაშვებების გადახედვა, რომლებიც გამოიყენება სამომავლო ფულადი ნაკადების განსაზღვრის მიზნით, რათა შემცირდეს სხვაობა მოსალოდნელ და ფაქტობრივ ზარალს შორის. გაუფასურების ზარალი ყოველთვის აღიარებულია რეზერვის ანგარიშის მეშვეობით, რათა აქტივის საბალანსო ღირებულება შემცირდეს მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებამდე, რომლებიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარების შეწყვეტა*ფინანსური აქტივები*

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივის ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება თუ:

- ▶ ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების ვადა, ან
- ▶ ჯგუფმა დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და
- ▶ ჯგუფმა (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

*(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)***4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)****ფინანსური ინსტრუმენტების აღიარების შეწყვეტა (გაგრძელება)**

თუ ჯგუფმა გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ამაზე ხელშეკრულება, იგი აფასებს, შეინარჩუნა თუ არა ან რამდენად შეინარჩუნა ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი. თუ ჯგუფმა არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, და ასევე არ გადასცა აქტივზე კონტროლი, ჯგუფი აგრძელებს გადმოცემული აქტივის აღიარებას ამ აქტივში მისი მონაწილეობის შენარჩუნების გამო. ასეთ შემთხვევაში ჯგუფი მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც აღიარებს. გადმოცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება ჯგუფის მიერ დატოვებულ უფლება-მოვალეობების საფუძველზე.

მონაწილეობის შენარჩუნება, რომელსაც აქვს გადმოცემულ აქტივზე ერთგვარი თავდებობის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და ჯგუფის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

ფინანსური ვალდებულებები

ჯგუფის ყველა ფინანსური ვალდებულება, მათ შორის ნასესხები სახსრები და სავაჭრო და სხვა კრედიტორული ვალდებულებები, გამოშვებული ობლიგაციები და სავაჭრო და სხვა კრედიტორული ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით. ჯგუფის ნასესხები სახსრები შედგება მშობელი კომპანიის გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების (მე-10 შენიშვნა) ქართული და საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებებისგან მიღებული სესხებისა და სხვა საწარმოებისგან მიღებული სესხებისგან.

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ჩაანაცვლებს მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ჩაანაცვლება ან ცვლილება აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულების სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად თვითღირებულებით აღიარდება. ისევე, როგორც შესყიდვის ფასი, დაუმთავრებელ მშენებლობაში შემავალი ძირითადი საშუალებების თვითღირებულებაც მოიცავს ერთეულების დემონტაჟისა და ტერიტორიიდან გატანის მომავალი გარდაუვალი ხარჯების პირდაპირ დანახარჯებს და მოსალოდნელ მიმდინარე ღირებულებას. პირდაპირი დანახარჯები მოიცავს ტექნიკური, გარემოსდაცვითი და სხვა შესაბამისი ექსპერტების მიერ გაწეულ პროფესიონალურ მომსახურებებს. ამასთან, პირდაპირი დანახარჯები ითვალისწინებს ნებართვის წინა დანახარჯებს, რაც მოიცავს პროექტის შეფასების პერიოდში გაწეულ კვლევებს და მომსახურებებს, როგორც არის შეფასების კვლევა, საპროექტო დანახარჯებს, ტექნიკურ და გარემოსდაცვით დანახარჯებს, გეოლოგიურ კვლევებს. ელექტროსადგურების მშენებლობისთვის ნებართვების მისაღებად განხორციელებული შენატანები ადგილობრივ სამთავრობო უწყებებში ასევე წარმოადგენენ პირდაპირი დანახარჯების ნაწილს. ერთეულების დემონტაჟის და გატანის ვალდებულება ანარიცხებში აღიარდება.

ჯგუფი ფლობს უძრავ ქონებას, რომელიც ძირითადად შედგება ადმინისტრაციული შენობებისა და საოპერაციო ობიექტებისგან.

ძირითადი საშუალებების ყველა კატეგორია აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

აქტივის ცვეთა აითვლება იმ თარიღიდან, როდესაც აქტივი ექსპლუატაციისთვის მზად არის და ხელმისაწვდომია. ამორტიზებული ღირებულების ამორტიზაცია (რომელიც განისაზღვრება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულებით) დაანგარიშდება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებით, მოსალოდნელ სასარგებლო მომსახურების ვადაზე. ძირითადი საშუალებების რამდენიმე კლასის შესაბამისი არსებული სასარგებლო მომსახურების ვადებია:

	<i>სასარგებლო მომსახურების ვადები</i>
შენობა-ნაგებობები	60 წელი
ელექტროენერჯის ინფრასტრუქტურის აქტივები ¹	10-50 წელი
საოფისე აღჭურვილობა და ინვენტარი	5-10 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5-10 წელი

¹ ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის აქტივები მოიცავს ელექტროსადგურთან უშუალოდ დაკავშირებულ ნაწილებს, მათ შორის გენერატორებს, რეზერვუარებს (ჰიდროელექტრო სადგურის შემთხვევაში), ტურბინებს და ელექტროსადგურს.

აქტივის ნარჩენი ღირებულება წარმოადგენს სავარაუდო თანხას, რომელსაც ჯგუფი აქტივის გასხვისებიდან მიიღებდა, გასხვისების სავარაუდო ხარჯების გამოკლებით, აქტივი უკვე მოძველებული და ისეთ მდგომარეობაში რომ ყოფილიყო, როგორც მოსალოდნელია სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისთვის.

პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის კომბინირებულ ცალკე გამოყოფილ ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ანგარიშსწორების მიზნით ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაბალია. თუ სავარაუდო გახდება გადინების შესაძლებლობა, ჯგუფი შესაბამის ანარიცხებს აღიარებს ვალდებულებებისთვის და დებულებების ცვლილებებისთვის. პირობითი აქტივების აღიარება არ ხდება ფინანსური მდგომარეობის კომბინირებულ ცალკე გამოყოფილ ანგარიშგებაში, სანამ პრაქტიკულად აშკარა არ იქნება ანაზღაურება (რასაც ჩვეულებრივ აქვს ადგილი სადაზღვევო კომპანიებისგან მიღებული ანაზღაურებისას) და წარმოდგენილია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

არამატერიალური აქტივები

ჯგუფის მიერ შექმნილი არამატერიალური აქტივები, რომელთა სასარგებლო მომსახურების ვადა სასრულია, აისახება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამული უზრუნველყოფის მოპოვებულ ლიცენზიებს, რომელთა ამორტიზაცია ხორციელდება წრფივი მეთოდით მათი მოსალოდნელი საექსპლუატაციო ვადის განმავლობაში (3-5 წელი), დაწყებული იმ თარიღიდან, როდესაც აქტივი ხელმისაწვდომი გახდა მოხმარებისთვის.

გაუფასურების შემთხვევაში არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულება შემცირდება მათი გამოყენების ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის უფრო მაღალ ღირებულებამდე.

*(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)***4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)****გადასახადები**

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით დაიბეგრება იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით, იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად გადახდის ფაქტიური თარიღისა ან იმ პერიოდისა, როდესაც დივიდენდები გადაიხდება. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო კრედიტორული ვალდებულებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. კომპანიებს უფლება აქვთ, ჩაითვალოს 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ იბეგრება მოგების გადასახადით. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოემყვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. ღირებულება მოიცავს უშუალოდ მასალებისა და, შესაბამის შემთხვევებში, შრომის პირდაპირ დანახარჯებს და იმ ზედნაღებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა მარაგების მათ ამჟამინდელ მდებარეობასა და მდგომარეობამდე მისაყვანად. მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის სავარაუდო გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, რომელსაც აკლდება დასრულების და რეალიზაციის ხარჯი.

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება გაუფასურების რეზერვით შემცირებული თვითღირებულებით. გადახდილი ავანსები მაშინ კლასიფიცირდება გრძელვადიანად, როდესაც გადახდილი ავანსებთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება ერთი წლის შემდეგ არის მოსალოდნელი ან მაშინ, როდესაც გადახდილი ავანსები უკავშირდება აქტივს, რომელიც, პირველადი აღიარებისას, თვითონ იქნება კლასიფიცირებული გრძელვადიანად. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები გადაიტანება აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როგორც კი ჯგუფი მოიპოვებს აქტივზე კონტროლს და მოელის აქტივიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღებას. სხვა სახის გადახდილი ავანსები ჩამოიწერება მოგებაში ან ზარალში გადახდილი ავანსებთან დაკავშირებული საქონლის და მომსახურების მიღების შემდეგ.

თუ არსებობს მინიშნება, რომ გადახდილი ავანსებთან დაკავშირებული აქტივები, საქონელი ან მომსახურება არ იქნება მიღებული, გადახდილი ავანსების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი გატარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

*(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)***4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)****ნაღდი ფული ბანკში და შეზღუდული ფულადი სახსრები**

ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში მოიცავს მოთხოვნამდე ანაზრებს ბანკში, რომელთა თავდაპირველი ვადა შეადგენს სამ თვეს ან ნაკლებს და რომლებიც ექვემდებარება ღირებულების ცვლილებასთან დაკავშირებულ უმნიშვნელო რისკს. ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით მოქმედი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის, შეზღუდული წვდომის ფულადი ნაშთები გამოირიცხება ნაღდი ფულის ნაშთიდან ბანკში. ნაშთები, რომელთა სასწრაფო წესით გაცვლა ან გამოყენება ვალდებულებების დასაფარად აკრძალულია, ჯგუფის შეხედულებისამებრ ცალკე არის შეტანილი შეზღუდული წვდომის ფულად სახსრებში.

შერწყმის რეზერვი

წინამდებარე კომბინირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგებების მიზნებისთვის, ჯგუფი შერწყმის რეზერვს წარმოადგენს, როგორც საბალანსო კაპიტალის კომპონენტი. შერწყმის მარაგი აღმოიფხვრება და ჩანაცვლდება სააქციო კაპიტალით და საემისიო შემოსავლით ან მსგავსი ანგარიშებით სს „საქართველოს განახლებადი ენერჯის ოპერაციების“ შექმნისთანავე. შერწყმის რეზერვის მოძრაობები მოიცავს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზის“ ენერგეტიკული სეგმენტის შვილობილი კომპანიების „ჯორჯია გლობალ იუთილითიზში“ შენატანს „GCAP“-ის მიერ 2020 წელს, კაპიტალში შენატანებს და სს „საქართველოს განახლებადი ენერჯის ოპერაციების“ შვილობილი კომპანიების მფლობელებზე განაწილებებს (როგორც არის მათი სააქციო კაპიტალის ზრდა ან კლება რომლებიც არ აღმოიფხვრება კონსოლიდაციისას).

დივიდენდები

დივიდენდები ტარდება, როგორც ვალდებულება და იქვეთება საკუთარი კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც მათი გამოცხადება და დამტკიცება ხდება.

დამატებული ღირებულების გადასახადი

დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ, შეიცვალა 18%-ით საქართველოში) ვალდებულება წარმოიშვება საქონლის მიწოდებისას ან მომსახურების გაწევის მომენტში. დღგ-ის ჩასათვლელი თანხის აღიარება ხდება მომწოდებლისგან საგადასახადო ანგარიშფაქტურის მიღების მომენტში, მაგრამ მისი მიღება ხდება ბრუნვაზე გადახდილი დღგ-ის თანხიდან მხოლოდ ამ ანგარიშფაქტურის გადახდისას. საგადასახადო კანონმდებლობით ნებადართულია დღგ-ის გადახდა ნეტო-საფუძველზე. შესაბამისად, ყიდვა-გაყიდვებთან დაკავშირებული დღგ, რომლის გადახდაც ხორციელდება საანგარიშო პერიოდის დასრულებისას, აისახება ფინანსური მდგომარეობის კომბინირებულ ცალკე გამოყოფილ ანგარიშგებაში ნეტო-საფუძველზე. როდესაც იქმნება დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი, გაუფასურების ზარალი აღირიცხება დებიტორის საერთო თანხასთან მიმართებით, დღგ-ის ჩათვლით.

სესხით სარგებლობის დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები მოიცავს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით გაანგარიშებულ საპროცენტო ხარჯსა და უცხოურ ვალუტაში მიღებული სესხებით გამოწვეულ საკურსო სხვაობებს იმდენად, რამდენადაც ისინი ითვლება საპროცენტო ხარჯების კორექტირებად. ისეთი აქტივის შექმნისთვის ან მშენებლობისთვის უშუალოდ მიკუთვნებადი სესხით სარგებლობის დანახარჯები, რომლის მიზნობრივი მოხმარებისთვის ან რეალიზაციისთვის მომზადებასაც საკმაოდ დიდი დრო სჭირდება, კაპიტალიზდება, როგორც შესაბამისი აქტივის თვითღირებულების ნაწილი. სესხით სარგებლობის ყველა დანარჩენი დანახარჯი დადგომისთანავე გატარდება პერიოდის ხარჯად. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების ის ოდენობა, რომელიც ექვემდებარება კაპიტალიზაციას, განისაზღვრება, როგორც სესხის მიღებისას გაწეული სესხით სარგებლობის დანახარჯები შესაბამისი ქონების მშენებლობის ეტაპის განმავლობაში.

*(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)***4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)****ვალდებულებების რეზერვი და რეზერვის დარიცხვა**

ვალდებულებების რეზერვები არის არაფინანსური ვალდებულებები, რომელთა მთავარი მახასიათებელია დაუზუსტებელი დრო და თანხის ოდენობა. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს წარსული მოვლენების გამო აქვს მიმდინარე იურიდიული თუ პრაქტიკიდან გამომდინარე ვალდებულება და მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება ვალდებულების დასაფარად. ასევე, შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ განსაზღვრა.

მსგავსი ვალდებულებების არსებობის დროს, ალბათობა იმისა, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება რესურსების გადინება, განისაზღვრება ვალდებულებების კლასის, როგორც ერთი მთლიანის გათვალისწინებით.

თუ ჯგუფი მოელის რეზერვის ანაზღაურებას, მაგალითად სადაზღვევო ხელშეკრულების საფუძველზე, ანაზღაურების აღიარება ხდება ცალკე აქტივის სახით, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც ანაზღაურება გადაწყვეტილია.

წმინდა არარეგულარული შემოსავალი და ხარჯები

ჯგუფი ცალკე ახდენს არარეგულარული ხასიათის შემოსავლისა და ხარჯების კლასიფიცირებასა და გაცხადებას. არარეგულარული ხასიათისა შეიძლება ნებისმიერი ტიპის შემოსავალი ან ხარჯი იყოს. ჯგუფი არარეგულარულ შემოსავალს ან ხარჯს განსაზღვრავს, როგორც უჩვეულო ეკონომიკური, ბიზნესის ან ფინანსური მოვლენის შედეგად განპირობებულ ან მისგან გამომდინარე შემოსავალს ან ხარჯს, რომელიც არ არის ჯგუფის ჩვეულებრივი და რეგულარული საქმიანობისთვის დამახასიათებელი და გამოწვეულია წინასწარ გაურკვეველი და არაპროგნოზირებადი გარე ფაქტორებით.

ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთთან გაიქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის კომბინირებულ ცალკე გამოყოფილ ანგარიშგებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის იურიდიული უფლება და სურვილი, რომ მოხდეს ან შემხვედრი მოთხოვნების ურთიერთგაქვითვა, ან ერთდროულად აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა.

სამუშაო ვალუტები და უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ჯგუფში შემავალი საწარმოების სამუშაო ვალუტა არის ამერიკის შეერთებული შტატების დოლარი („აშშ დოლარი“), შემდეგის გათვალისწინებით:

- ▶ ელექტროენერჯის ტარიფი განისაზღვრება აშშ დოლარში საქართველოში, შესაბამისად, ჯგუფის შემოსავალი აშშ დოლარშია გამოხატული;
- ▶ მფლობელების მიერ კაპიტალში შენატანი, ასევე მათზე გადანაწილება აშშ დოლარში განხორციელდა;
- ▶ ჯგუფის ფინანსური სტრუქტურა აშშ დოლარშია გამოხატული.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარიგებები თავდაპირველად აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით.

*(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)***4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)****სამუშაო ვალუტები და უცხოური ვალუტის კონვერტაცია (გაგრძელება)**

უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივების და ვალდებულებების გადაანგარიშება სამუშაო ვალუტაში ხდება საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სამუშაო ვალუტის გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული და პირვანდელი ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი ოპერაციების თარიღებისათვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად.

უცხოური ვალუტის კონვერტაციიდან მიღებული შემოსულობა და ზარალი აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსულობის ნაწილში.

სხვაობები გარკვეული გარიგების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სავალუტო კურსსა და საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) გაცვლით კურსს შორის ოპერაციის დღეს ასახულია შემოსულობის თანხით შემცირებულ საკურსო ზარალში. სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსი 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო 3,0976 და 3,2766 ლარი 1 აშშ დოლარი, შესაბამისად.

ადგილობრივი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, ჯგუფის წარსადგენი ვალუტა არის ლარი. ფინანსური ანგარიშგების მუხლების წარსადგენ ვალუტაში გადაანგარიშება ხდება შემდეგი პრინციპების მიხედვით: აქტივები და ვალდებულებები ლარში გადაანგარიშდება საანგარიშგებო თარიღისთვის მოქმედი სავალუტო კურსით, შემოსავალი და ხარჯები გადაანგარიშდება ოპერაციების დღეებში მოქმედი სავალუტო კურსებით (ან პერიოდის საშუალო კურსით, თუ მიახლოებული სიდიდე გონივრულია), ხოლო კაპიტალის კომპონენტებისთვის ნარჩუნდება ის გაცვლითი კურსი, რომელიც მოქმედებდა სამუშაო ვალუტის შეცვლის თარიღისთვის. გადაანგარიშებისას წარმომდგარი საკურსო სხვაობა აისახება სხვა სრულ შემოსავალში.

ფულადი სახსრების მოძრაობის კომბინირებულ ცალკე გამოყოფილ ანგარიშგებაში შესულ ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი არ მოიცავს საკურსო შემოსულობას/ზარალს ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე და განხორციელებულ უცხოურ ოპერაციებზე, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების მომზადების მიზნით ლარში.

საოპერაციო სეგმენტი

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საოპერაციო გადაწყვეტილებების მთავარი მიმღები პირი აფასებს მთლიან ჯგუფს, როგორც ერთ საოპერაციო სეგმენტს, განახლებადი ენერჯის ბიზნესს. საოპერაციო გადაწყვეტილებების მთავარი მიმღები პირი აფასებს საქმიანობის შედეგებს შემოსავლის, დასაბეგრი მოგებისა და ფასს-ის მიხედვით შეფასებული წმინდა მოგების საფუძველზე, კომბინირებულ ცალკე გამოყოფილ ფინანსურ ანგარიშგებებში განსაზღვრულის შესაბამისად.

ჯგუფის ყველა აქტივი და ვალდებულება თავმოყრილია საქართველოში და შემოსავალი გარე კლიენტებისგან მიიღება საქართველოში წარმოებული საქმიანობიდან. რამდენიმე გარე მომხმარებელმა – სს „ელექტროსისტემის კომერციულ ოპერატორი“ („ესკო“) და კომპანიის დაკავშირებული მხარე შპს „GETC“, 2021 წელს აღრიცხეს ჯგუფის შემოსავლის 88% (2020 წ.: 93%). „ესკოსგან“ და „GETC“-სგან მთლიანმა აღიარებულმა შემოსავალმა 2021 წელს 38,2 ლარი (2020 წ.: 35,7 ლარი) შეადგინა.

*(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)***4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)****შემოსავლის და ხარჯის აღიარება**

შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფი ასრულებს სახელშეკრულებო ვალდებულებას იმ ოდენობით, რომელიც უტოლდება საზღაურს, რომლის მიღების უფლებასაც ჯგუფი მოელის საქონლის ან მომსახურების კლიენტისთვის დაპირებული გადაცემით. ქვემოთ მოცემული კონკრეტული პრინციპები ასევე გამოიყენება ჯგუფის შემოსავლების მთავარ კლასებთან მიმართებაში:

შემოსავალი ელექტროენერჯის რეალიზაციიდან

ჯგუფი ყიდის ელექტროენერჯიას, რომელსაც გამოიმუშავებს მათი საკუთარი ქარის და ჰიდროელექტრო სადგურებზე. მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ამონაგების აღიარება ხდება საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლის კლიენტზე გადაცემის მომენტში, იმ ოდენობით, რაც შეესაბამება ანაზღაურებას, რომლის მიღებასაც ჯგუფი მოელის ამ საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ.

ამონაგების აღიარება დამატებული ღირებულების გადასახადის გამოკლებით. ამონაგები მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით ფასდება.

ელექტროენერჯია იყიდება ცალკეული ხელშეკრულების ფარგლებში და ელექტროენერჯის რეალიზაცია ერთადერთ შესასრულებელი ვალდებულებას წარმოადგენს. შესასრულებელი ვალდებულება დაკმაყოფილებულია და შემოსავლის აღიარება ისეთ დროს მოხდება, როდესაც აქტივზე კონტროლი გადაეცემა მომხმარებელს, რაც ელექტროენერჯის შეთანხმებული ოდენობით მიწოდებისას ხდება.

ამონაგების შეფასება ხდება ხელშეკრულებით შეთანხმებული გარიგების ფასით. საზღაურის გადახდა უნდა მოხდეს ელექტროენერჯის გადაცემიდან მიღება-ჩაბარების აქტის შედგენის შემდეგ. კლიენტები ჩვეულებრივ ვალდებული არიან გადაიხადონ შესაბამისი ნაშთები მომდევნო თვის ბოლოსთვის.

EBITDA

ჯგუფი ცალკე წარმოადგენს შემოსავალს პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე (EBITDA) მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კომბინირებულ ცალკე გამოყოფილ ანგარიშგებაში. EBITDA არ არის განსაზღვრული ფასს-ში და ჯგუფი მას განსაზღვრავს, როგორც შემოსავალს პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე და ის მიიღება, როგორც ჯგუფის მოგება მოგების გადასახადის ხარჯის გათვალისწინებამდე, მაგრამ არ შეიცავს შემდეგ მუხლებს: ცვეთა და ამორტიზაცია, საპროცენტო შემოსავალი, ფინანსურ საქმიანობაში გაწეული ხარჯები, წმინდა სავალუტო ზარალი, ფინანსურ ვალდებულებების დაფარვით გამოწვეული ზარალი, ევრო ობლიგაციების რეფინანსირებასთან დაკავშირებული ხარჯები, გაუფასურების და არარეგულარული ხარჯი.

შემოსულობა საქმიანობის შეწყვეტით გამოწვეული ანაზღაურებიდან

საქმიანობის შეფერხების ანაზღაურებით მიღებული შემოსულობა აღიარდება სადაზღვევო ზარალის აქტების საფუძველზე.

ელექტროენერჯის და გადაცემის ხარჯები

ელექტროენერჯისა და გადაცემასთან დაკავშირებული ხარჯები მოიცავს გარანტირებული ელექტროენერჯის ანაზღაურებას, ელექტროენერჯის გადაცემისა და განაწილებისთვის და სადგურების ტექნიკური მომსახურებისთვის.

*(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)***4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)****შემოსავლის და ხარჯის აღიარება (გაგრძელება)***საპროცენტო და მსგავსი შემოსავალი და ხარჯი*

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ყველა ფინანსური ინსტრუმენტის შემთხვევაში, საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღრიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის ის განაკვეთი, რომელიც მოსალოდნელ სამომავლო ფულად გადახდებს/შემოსავლებს ფინანსური ინსტრუმენტის სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის, ან სადაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში ადისკონტირებს ფინანსური აქტივის თუ ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. გაანგარიშება ითვალისწინებს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა სახელშეკრულებო პირობას (მაგალითად წინასწარი გადახდის შესაძლებლობას) და მოიცავს ნებისმიერ საკომისიო თანხას და დამატებით ხარჯს, რომელიც პირდაპირ განეკუთვნება ინსტრუმენტს და წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარდა სამომავლო საკრედიტო ზარალისა. ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება კორექტირდება თუ ჯგუფი გადახედავს მის მიერ დასაფარი თუ მისაღები სავარაუდო თანხების შეფასებას. კორექტირებული საბალანსო ღირებულება გამოითვლება თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით და საბალანსო ღირებულების ცვლილება აღრიცხება, როგორც საპროცენტო შემოსავალი თუ ხარჯი.

როდესაც ფინანსური აქტივის თუ მსგავსი აქტივების ჯგუფის ღირებულება მცირდება გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამო, ამგვარი აქტივი აკმაყოფილებს გაუფასურებულის განმარტებას, საპროცენტო შემოსავლის აღიარება გრძელდება ახალ საბალანსო ღირებულებაზე თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

თანამშრომელთა სარგებელი

ჯგუფი აღიარებს მოგების განაწილების და საბონუსე გადახდების მოსალოდნელ ხარჯს, მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

- (ა) საწარმოს აქვს მიმდინარე ან კონსტრუქციული ვალდებულება განახორციელოს ამგვარი გადახდა განვლილი მოვლენების შედეგად; და
- (ბ) შესაძლებელია განხორციელდეს ვალდებულების სანდოდ შეფასება.

მიმდინარე ვალდებულება არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც საწარმოს არ ექნება რეალური ალტერნატივა გადახდის განხორციელების გარდა.

ხელფასები, შვებულება და ბიულეტენი, პრემიები, წილობრივი ანაზღაურება და სხვა სარგებელი ირიცხება იმ პერიოდში, რომელშიც შესაბამისი მომსახურება გაიწია ჯგუფის თანამშრომლების მიერ ან მაშინ, როდესაც წარმოიშვება სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულების ვალდებულება.

*(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)***5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები**

ჯგუფი მიმართავს გარკვეულ შეფასებებს და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს კომბინირებულ ცალკე გამოყოფილ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსური წლისთვის. შეფასებები და დაშვებები მუდმივად გადაისინჯება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენებს, რომელთა გონივრული პროგნოზირებაც შესაძლებელია გარემოებების გათვალისწინებით. შეფასებების გარდა, ხელმძღვანელობა ასევე გარკვეულ გადაწყვეტილებებს იღებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. მნიშვნელოვან მსჯელობასთან ერთად, რომელიც კეთდება წინამდებარე კომბინირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგებების მომზადების შესაბამის საფუძველზე, რაც მე-2 შენიშვნაშია განსაზღვრული, მსჯელობები, რომლებსაც ყველაზე მნიშვნელოვანი ეფექტი აქვთ კომბინირებულ ცალკე გამოყოფილ ფინანსურ ანგარიშგებებში აღიარებულ თანხებზე და შეფასებებზე, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი კორექტირების გამოწვევა აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში მოიცავს შემდეგს:

ძირითადი საშუალებების გაუფასურება

2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის და 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ჯგუფმა ჩაატარა ძირითადი საშუალებების გაუფასურების ან აღდგენის ინდიკატორების ანალიზი. ხელმძღვანელობას არ აღმოუჩენია ძირითადი საშუალებების გაუფასურების ან ადრე აღიარებული გაუფასურების აღდგენის ინდიკატორები, გარდა ფიზიკური დაზიანებით ან ზარალის მოვლენით გამოწვეული გაუფასურებისა. ფიზიკური დაზიანების ან აქტივების განადგურების შედეგად მიღებული ნებისმიერი გაუფასურების შემთხვევაში, ჯგუფი აფასებს ამგვარი დაზიანების მასშტაბს თითოეული ინდივიდუალური ერთეულისთვის და ჩამოწერს ძირითადი საშუალებების ისეთ ერთეულს, რომელიც უსარგებლოა. ამგვარი შეფასება მოითხოვს მსჯელობას იმის განსაზღვრაში, შესაძლებელია თუ არა აქტივების გამოყენება. 2021 წლის განმავლობაში ჯგუფმა ჩამოწერა შპს „სვანეთი ჰიდროსთან“ დაკავშირებული 36,595 ლარის ძირითადი საშუალებების გაუფასურება, რომელიც გამოწვეული იყო 2019 წელს კლდის ჩამოშლით მიყენებული ფიზიკური დაზიანებით. დამატებითი გაუფასურება წარმოიშვა ჯგუფის გადაწყვეტილებიდან არ გაეგრძელებინა დაზიანებული ჰიდროელექტრო სადგურის რეაბილიტაცია, რომელიც 2021 წელს დაიწყო, სარეაბილიტაციო პროექტის რისკების და ჯგუფის საინვესტიციო ალტერნატივების გულდასმით შეფასების შემდეგ.

ანაზღაურებადი აქტივების შეფასება

საჭიროა მნიშვნელოვანი განსჯა, რათა შეფასდეს, არის თუ არა ზარალის შემთხვევისთვის სადაზღვევო ანაზღაურება პრაქტიკულად შესაძლებელი, სწორად არის თუ არა სადაზღვევო ანაზღაურება აღიარებული და არის თუ არა ანგარიშგების თარიღისთვის მისაღები სადაზღვევო მოთხოვნის შეფასება სწორად დათვლილი. ინფორმაცია გაუფასურების ზარალის და შესაბამისი სადაზღვევო ანაზღაურების აღიარების შესახებ 2021 წლის 31 დეკემბრის, 2020 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით განხილულია მე-6 შენიშვნაში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალების შემადგენელი ცალკეული ერთეულების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება დამოკიდებულია ხელმძღვანელობის დაშვებებზე, რომლებიც ეფუძნება მსგავს აქტივებთან წარსულ გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, სადაც ხდება აქტივის გამოყენება. რომელიმე ან პირობაში ან შეფასებაში მომხდარმა ცვლილებამ შეიძლება მოითხოვოს სამომავლო ცვეთის კოეფიციენტების დაკორექტირება.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

6. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მოძრაობა 2020 წლის განმავლობაში ასეთი იყო:

	მიწის ნაკვეთები	შენობა- ნაგებობები	ენერგეტიკული ინფრასტრუ- ქტურის აქტივები	სატრანსპორ- ტო საშუალებები	ინვენტარი და აღჭურვი- ლობა	დაუმთავ- რებელი მშენებლობა	სულ
პირვანდელი ღირებულება							
2020 წლის 1 იანვარი	1,161	69,216	251,693	408	146	177	322,801
შესყიდვები	-	-	9,037	331	1,212	868	11,448
საკურსო სხვაობები	166	9,879	36,167	81	59	63	46,415
2020 წლის 31 დეკემბერი	1,327	79,095	296,897	820	1,417	1,108	380,664
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება							
2020 წლის 1 იანვარი	-	354	2,408	19	84	-	2,865
ცვეთის ხარჯი	-	2,711	9,842	16	6	-	12,575
საკურსო სხვაობები	-	147	713	3	12	-	875
2020 წლის 31 დეკემბერი	-	3,212	12,963	38	102	-	16,315
წმინდა საბალანსო ღირებულება							
2020 წლის 1 იანვარი	1,161	68,862	249,285	389	62	177	319,936
2020 წლის 31 დეკემბერი	1,327	75,883	283,934	782	1,315	1,108	364,349

ძირითადი საშუალებების მოძრაობა 2021 წლის განმავლობაში ასეთი იყო:

	მიწის ნაკვეთები	შენობა- ნაგებობები	ენერგეტიკული ინფრასტრუ- ქტურის აქტივები	სატრანსპორ- ტო საშუალებები	ინვენტარი და აღჭურვი- ლობა	დაუმთავ- რებელი მშენებლობა	სულ
მთლიანი საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბერი	1,327	79,095	296,897	820	1,417	1,108	380,664
შესყიდვები	-	222	3,130	47	-	3,565	6,964
გასვლები/ჩამოწერები	-	-	(2,117)	-	-	-	(2,117)
საკურსო სხვაობები	(72)	(4,343)	(16,172)	(45)	(36)	(232)	(20,900)
2021 წლის 31 დეკემბერი	1,255	74,974	281,738	822	1,381	4,441	364,611
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება							
2020 წლის 31 დეკემბერი	-	3,212	12,963	38	102	-	16,315
ცვეთის ხარჯი	-	2,886	9,528	32	38	-	12,484
გაუფასურება და ჩამოწერა	-	-	36,472	-	-	-	36,472
საკურსო სხვაობები	-	(270)	(977)	(3)	(7)	-	(1,257)
2021 წლის 31 დეკემბერი	-	5,828	57,986	67	133	-	64,014
წმინდა საბალანსო ღირებულება							
2020 წლის 31 დეკემბერი	1,327	75,883	283,934	782	1,315	1,108	364,349
2021 წლის 31 დეკემბერი	1,255	69,146	223,752	755	1,248	4,441	300,597

2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს არ ჰქონია დაგირავებული ძირითადი საშუალებები ნასესხები სახსრების უზრუნველყოფის სახით. 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ჯგუფს ნასესხები სახსრების უზრუნველყოფის სახით დაგირავებული ჰქონდა მისი 236,125 ლარის ღირებულების ძირითადი საშუალებები.

*(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)***6. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)**

2019 წლის ივლისის თვეში, მესტიაჭალის ხეობაში ჩამოწოლილმა კლდემ დააზიანა ჰიდროელექტრო სადგურები „მესტიაჭალა“ და მათი მიმდებარე ინფრასტრუქტურა. კლდის ჩამოწოლის შედეგად, ჰიდროელექტრო სადგურები „მესტიაჭალა“ დაზიანდა და ფუნქციონირება შეაჩერა. ჰიდროელექტრო სადგურმა „მესტიაჭალა 2“ ელექტროენერჯის გამომუშავების აღდგენა 2019 წლის დეკემბერში დაიწყო.

2020 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, „მესტიაჭალა 1“-ის დაზიანებასთან დაკავშირებით, ჯგუფმა აღიარა ანაზღაურებადი აქტივები (სადაზღვევო ანაზღაურებასთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება) საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო სადაზღვევო კომპანიისგან 2,808 ლარის (2020 წლის 1 იანვარს: 46,457 ლარი) ოდენობით ფინანსური მდგომარეობის კომბინირებულ ცალკე გამოყოფილ ანგარიშგებაში, საქმიანობის შეწყვეტის ანაზღაურების შემოსავლით 4,252 ლარის ოდენობით 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის სრული შემოსავლის კომბინირებულ ცალკე გამოყოფილ ანგარიშგებაში, რაც წარმოადგენს საქმიანობის შეწყვეტის ანაზღაურებას.

2021 წლის განმავლობაში ჯგუფმა გადააფასა ადრე აღიარებული ასანაზღაურებელი აქტივები, მზღვეველთან შეცვლილი ხელშეკრულების საფუძველზე. ამ ცვლილების შედეგად, ასანაზღაურებელი აქტივები 2,158 ლარის ოდენობით ჩამოიწერა არარეგულარულ ხარჯებში. ასანაზღაურებელი აქტივის დარჩენილი ნაწილი ჯგუფმა 2021 წლის განმავლობაში მიიღო ფულადი სახით. შესაბამისად, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხსენებული ზარალის შემთხვევასთან დაკავშირებით, ასანაზღაურებელი აქტივი დარჩენილი არ იყო.

„მესტიაჭალა 1“-ის ჰიდროელექტრო სადგურისთვის, დაზიანებული აქტივების გაუფასურებასა და ჩამოწრასთან ერთად, რომელიც 2019 წელს აღიარდა, და სრული ხარჯის და ტექნიკური მიზანშეწონილობის შეფასებასთან ერთად, ჰიდროელექტროსადგურის აღდგენის პროცესი უვადოდ შეჩერდა 2021 წელს. შესაბამისად, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „მესტიაჭალა 1“-ის ჰიდროელექტრო სადგურის დარჩენილი აქტივების გაუფასურება აღიარდა 36,595 ლარის ოდენობით გაუფასურების რეზერვის ხარჯში 2021 წლის მოგება-ზარალში. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ „მესტიაჭალა 1“-ის ჰიდროელექტრო სადგურის ანაზღაურების ღირებულება დაკავშირებული აქტივების სალიკვიდაციო ღირებულების ტოლი იყო (2,618 ლარი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით), რადგან დაზიანების შემდეგ ჰიდროელექტრო სადგურს არ შეეძლო ფულადი ნაკადების გამომუშავება.

2021 წლის ივლისში მდინარე კასლეთის ხეობაში წარმოიშვა წყალდიდობა, რამაც გამოიწვია ჰიდროელექტრო სადგურის „კასლეთი 2“ დაზიანება. წყალდიდობის შემთხვევის შედეგად „კასლეთი 2“-მა ერთი თვით შეაჩერა ფუნქციონირება, და გამომუშავება 2021 წლის სექტემბერში აღადგინა. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიმდინარეობდა მოლაპარაკებები სადაზღვევო კომპანიასთან. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფმა ჩამოწერა მისი ძირითადი საშუალებების დაზიანებული ერთეულები წმინდა საბალანსო ღირებულებით 1,994 ლარი. ზარალის მოვლენასთან დაკავშირებით, ჯგუფმა აღიარა ანაზღაურებადი აქტივები (სადაზღვევო ანაზღაურებასთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება) საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო სადაზღვევო კომპანიიდან 1,731 ლარის ოდენობით. შესაბამისი წმინდა ზარალი 263 ლარის ოდენობით შესულია არარეგულარულ ერთეულებში მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კომბინირებულ ცალკე გამოყოფილ ანგარიშგებაში.

ზემოთ ხსენებულ კასლეთის ზარალის მოვლენასთან დაკავშირებით, ჯგუფმა ასევე აღიარა ანაზღაურებადი აქტივი და საქმიანობის შეწყვეტის ანაზღაურების შემოსულობა 587 ლარის ოდენობით მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კომბინირებულ ცალკე გამოყოფილ ანგარიშგებაში 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

7. სხვა გრძელვადიანი აქტივები

	<i>2020 წლის 31 დეკემბერი</i>	<i>2020 წლის 31 დეკემბერი</i>	<i>2020 წლის 1 იანვარი</i>
არამატერიალური აქტივები	836	178	73
გრძელვადიან აქტივებში გადახდილი ავანსები	114	635	376
სხვა გრძელვადიანი აქტივები	193	174	90
სხვა გრძელვადიანი აქტივები, სულ	1,143	987	539

არამატერიალური აქტივების და დაგროვილი ამორტიზაციის პირვანდელმა საბალანსო ღირებულებამ 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 988 ლარი და 152 ლარი შეადგინა, შესაბამისად (2020 წ.: 308 ლარი და 130 ლარი, 2020 წლის 1 იანვარს: 187 ლარი და 114 ლარი, შესაბამისად).

არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯი, პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიების ჩათვლით 2021 წელს 22 ლარს შეადგენდა (2020 წ.: 16 ლარი).

8. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები

	<i>2020 წლის 31 დეკემბერი</i>	<i>2020 წლის 31 დეკემბერი</i>	<i>2020 წლის 1 იანვარი</i>
მიმდინარე			
სავაჭრო დებიტორული დავალიანება			
ელექტროენერჯის რეალიზაციიდან	2,366	1,762	2,067
სულ რესტრუქტურული დებიტორული დავალიანება, წმინდა	2,366	1,762	2,067

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულება 2,366 ლარს უდრის (2020 წლის 31 დეკემბერს: 1,762 ლარი, 2020 წლის 1 იანვარს: 2,067 ლარით). საბალანსო ღირებულება სამართლიან ღირებულებას იყო მიახლოებული მათი მოკლევადიანი დაფარვის ვადის გამო. ყველა სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები მიმდინარეა და უკავშირდება შემოსავალს ელექტროენერჯის რეალიზაციიდან. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არაარსებითია 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

9. კაპიტალი

შერწყმის რეზერვი

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სს „საქართველოს განახლებადი ენერჯის ოპერაციები“ დაფუძნებული არ იყო. შესაბამისად სააქციო კაპიტალი არ არის წარმოდგენილი წინამდებარე კომბინირებულ ცალკე გამოყოფილ ანგარიშგებებში. ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის თანახმად (მე-3 შენიშვნა), სს „საქართველოს განახლებადი ენერჯის ოპერაციების“ დაფუძნებამდე კონკრეტული კაპიტალის მოძრაობები წარმოდგენილია შერწყმის რეზერვში:

	<i>ნომინალური ღირებულება</i>
2020 წლის 1 იანვარი	84,370
კაპიტალში შენატანი მფლობელის მიერ (ა)	3,108
კაპიტალის განაწილებები (ბ)	(4,927)
არამაკონტროლებელი პაკეტის შეძენა არსებულ შვილობილ კომპანიებში (ბ)	22,113
2020 წლის 31 დეკემბერი	104,664
შერწყმის რეზერვის შემცირება (ბ)	(20,000)
2021 წლის 31 დეკემბერი	84,664

*(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)***9. კაპიტალი (გაგრძელება)****შერწყმის რეზერვი (გაგრძელება)**

- (ა) 2020 წელს სს „სვანეთი ჰიდრომ“ გაზარდა შერწყმის რეზერვი მფლობელებისგან ფულადი ანაზღაურების სანაცვლოდ 3,108 ლარის ოდენობით.
- (ბ) 2020 წელს შპს „საქართველოს ქარის კომპანია“ საწესდებო კაპიტალი შეამცირა 4,927 ლარის მფლობელზე განაწილების გზით.
- (გ) 2020 წლის 25 თებერვალს, „GCAP“-მა შეიძინა სს „საქართველოს განახლებადი ენერჯეტიკული კომპანიის“ 34,4% და, შედეგად, სს „სვანეთი ჰიდრომ“ 100%-ის მფლობელი გახდა. შეძენის შემდეგ „GCAP“-მა სს „სვანეთი ჰიდრომ“ მიერ შეძენილი 34,4%-იანი წილის შენატანი განახორციელა ჯგუფში. ჯგუფმა განსაზღვრა, ეს არაფულადი გარიგება, როგორც არამაკონტროლებელი წილის შეძენა არსებულ შვილობილ კომპანიაში, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კომბინირებულ ცალკე გამოყოფილ ანგარიშგებაში, რამაც გამოიწვია კაპიტალში არამაკონტროლებელი წილის კლება და უშუალო მშობელი კომპანიის მფლობელებზე მიკუთვნებადი კაპიტალის ზრდა (შერწყმის რეზერვი) 22,113 ლარის ოდენობით.
- (დ) 2021 წელს ჯგუფმა აღიარა შერწყმის რეზერვის შემცირება მფლობელზე 20,000 ლარის განაწილებასთან დაკავშირებით საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კომბინირებულ ცალკე გამოყოფილ ანგარიშგებაში, რომელიც განხორციელდა ფულადი ანგარიშსწორების ფორმით სს „საქართველოს განახლებადი ენერჯის ოპერაციების“ შვილობილი კომპანიებიდან ამონაგების სახით.

დივიდენდები

2021 და 2020 წლებში დივიდენდები არ გამოცხადებულა და არ გადახდილა.

სხვა რეზერვები

სხვა რეზერვები მოიცავს არარეალიზებულ შემოსულობებს/(ზარალს) არსებულ შვილობილ კომპანიებში არამაკონტროლებელი წილის მფლობელებთან გარიგებებიდან და ვალუტის საკურსო სხვაობის რეზერვს. მოძრაობა სხვა რეზერვებში 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის დიდწილად უკავშირდება ვალუტის საკურსო სხვაობის რეზერვთან დაკავშირებული წლის სხვა სრულ (ზარალს)/შემოსავალს.

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას ჯგუფის მიზნებია:

- ▶ უზრუნველყოს ჯგუფის ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენის უნარი, რომ მან გააგრძელოს მფლობელებისთვის უკუგების, ხოლო სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის სარგებლის შექმნა;
- ▶ შეინარჩუნოს საკმარისი ზომა, რომ ჯგუფის საქმიანობა ხარჯთეფექტური იყოს.

ამ მიზნების მისაღწევად ჯგუფი დეტალურად აანალიზებს კაპიტალის სტრუქტურას, ნასესხები სახსრების ღირებულებისა და საკუთარი კაპიტალის არსებული დონის გათვალისწინებით. კაპიტალის მართვის მიზნებისთვის, ჯგუფი კაპიტალს განსაზღვრავს კაპიტალის მართვის მიზნებისთვის როგორც კაპიტალს და ნასესხებ სახსრებს, ასევე გამოშვებულ ობლიგაციებს, რომლებიც აღიარებულია კომბინირებულ ცალკე გამოყოფილ ფინანსურ ანგარიშგებებში.

2021 და 2020 წლებში კაპიტალის მართვის მიზნებში, პოლიტიკასა თუ პროცესებში ცვლილებები არ შესულა.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

10. ნასესხები სახსრები და გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები

	2021 წლის 31 დეკემბერი		2020 წლის 31 დეკემბერი		2020 წლის 1 იანვარი	
	მიმდინარე ვალდებულებები	გრძელვადიანი ვალდებულებები	მიმდინარე ვალდებულებები	გრძელვადიანი ვალდებულებები	მიმდინარე ვალდებულებები	გრძელვადიანი ვალდებულებები
გამოშვებული და განაწილებული ევრო ობლიგაციები	9,546	295,078	10,098	308,390	-	-
საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებებისგან მიღებული სესხები	-	-	-	-	5,350	44,960
საქართველოს ფინანსური ინსტიტუტებისგან აღებული სესხები	-	-	-	-	12,989	175,402
დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხები	134	2,570	-	159	144	35,546
სულ ნასესხები სახსრები	9,680	297,648	10,098	308,549	18,483	255,908

2020 წლის 23 ივლისს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზმა“ გამოუშვა 250 მილიონი აშშ დოლარის მწვანე ობლიგაციები, საიდანაც 95,4 მილიონი აშშ დოლარი მოდიოდა ენერჯეტიკის სეგმენტზე და აღიარებული იყო კომბინირებულ ცალკე გამოყოფილ ფინანსურ ანგარიშგებებში (მე-2 შენიშვნა). პირველი რიგის არაუზრუნველყოფილი აშშ დოლარში გამოხატული 7,75%-იანი მწვანე ობლიგაციები, 5-წლიანი გამოუხმობი 2-წლიანი დაფარვის ვადით (შემდგომში „ობლიგაციები“), გაიცა 2020 წლის 30 ივლისს. ობლიგაციების გამოშვება და გაყიდვა მოხდა ნომინალური ღირებულებით. ობლიგაციები შესულია ირლანდიის საფონდო ბირჟის გლობალური საფონდო ბაზრის ლისტინგში და მათ „Fitch“-ის სარეიტინგო სააგენტოს მიერ მინიჭებული აქვთ 'B+' (რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები) რეიტინგი, ხოლო „S&P“-ის მიერ - 'B' (სტაბილური).

ობლიგაციებიდან ფულადი შემოსულობა გამოყენებული იყო ჯგუფის არსებული სასესხო ხელშეკრულებების დასაფინანსებლად. ჯგუფმა განიცადა ზარალი ფინანსური ვალდებულებების დაფარვაზე, რაც მეტწილად უკავშირდება ობლიგაციებიდან მიღებული შემოსავლით დაფინანსებული ნასესხები სახსრებზე ავანსად გადახდილ გადასახადებს, 10,002 ლარის ოდენობით, რომელიც აღიარდება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კომბინირებულ ცალკე გამოყოფილ ანგარიშგებაში.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფმა აღიარა გამოშვებული აშშ დოლარში გამოხატული ევრო ობლიგაციების განაწილება 304,624 ლარის ოდენობით (2020 წ.: 318,488 ლარი).

2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ჯგუფმა აღიარა აშშ დოლარში გამოხატული სესხი საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებისგან - ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი („EBRD“) 50,310 ლარის ოდენობით, აშშ დოლარში გამოხატული სესხები ადგილობრივი ბანკებიდან 188,390 ლარის ოდენობით და აშშ დოლარში გამოხატული სესხები „GCAP“-სგან 35,691 ლარის ოდენობით.

ჯგუფის „ჯორჯია გლობალ იუთილითიზისგან“ გამოყოფის ერთერთი პირობაა ის, რომ „ჯორჯია გლობალ იუთილითიზი“ ვალდებულია გამოისყიდოს ევრო ობლიგაციები 2022 წლის მესამე კვარტალში (1-ლი შენიშვნა), რომლის თანახმადაც „ჯორჯია გლობალ იუთილითიზი“ გეგმავს ქოლ-ოფციონის გამოყენებას, რომელიც მითითებულია ევრო ობლიგაციების პირობებში. შესაბამისად, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმძღვანელობამ შეცვალა ევრო ობლიგაციების ვალდებულებაში „ჯორჯია გლობალ იუთილითიზის“ ენერჯეტიკული სეგმენტის განაწილებულ წილზე მიკუთვნებადი მომავალი ფულადი ნაკადების ვადებთან დაკავშირებული მოლოდინები, რამაც გამოიწვია 2,766 ლარის ოდენობით ზარალი ამორტიზებული ღირებულების შეფასების ცვლილებაში, რომელიც აღიარებულია მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კომბინირებულ ცალკე გამოყოფილ ანგარიშგებაში 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

10. ნასესხები სახსრები და გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები (გაგრძელება)

2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრისთვის ჯგუფს არ აქვს გამოუყენებელი საკრედიტო ხაზები. 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ჯგუფს ჰქონდა 13,627 ლარის ოდენობით აუთვისებელი სესხის თანხა ადგილობრივი კომერციული ბანკისგან.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის ნასესხები სახსრები საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოსგან აშშ დოლარშია გამოხატული, 10%-იანი ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით და ორწლიანი საშუალო დაფარვის ვადით (2020 წ.: ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი 10% საშუალო დაფარვის ვადით 2 წელი). სესხი უკავშირდება დარჩის ჰიდროელექტრო სადგურის პროექტის შემუშავებას.

ნასესხებ სახსრებს და განაწილებულ და გამოშვებულ ევრო ობლიგაციებს დაფარვის ვადა აქვთ დაახლოებით 4 წელიწადი (2020 წ.: 5 წელი).

2021 წელს ჯგუფმა გასწია სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები 24,587 ლარის (2020 წ.: 23,641 ლარი) ოდენობით, საიდანაც 134 ლარი კაპიტალიზებულ იქნა ძირითადი საშუალებების სახით (2020 წ.: 0 ლარი).

ცვლილებები საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებებში

	<i>ნასესხები სახსრები</i>	<i>გამოშვებული ევრო ობლიგაციები</i>	<i>საიჯარო ვალდებულებები</i>	<i>სულ</i>
საბალანსო ღირებულება 2020 წლის 1 იანვარს	274,391	–	657	275,048
უცხოური ვალუტის კონვერტაცია	19,249	19,151	–	38,400
ფულადი შემოსავალი	160	294,549	–	294,709
გადახდილი ფულადი სახსრები	(292,522)	(876)	(246)	(293,644)
დარიცხული პროცენტი	13,348	10,313	111	23,772
გადახდილი პროცენტი	(20,127)	–	(111)	(20,238)
სესხის დასაფარად გადახდილი საკომისიო	(5,139)	–	–	(5,139)
ფინანსური ვალდებულებების დაფარვით გამოწვეული ზარალი	10,002	–	–	10,002
სხვა	797	(4,649)	826	(3,026)
საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	159	318,488	1,237	319,884
უცხოური ვალუტის კონვერტაცია	(114)	(17,659)	–	(17,773)
ფულადი შემოსავალი	2,525	–	–	2,525
გადახდილი ფულადი სახსრები	–	–	(231)	(231)
დარიცხული პროცენტი	134	24,622	161	24,917
გადახდილი პროცენტი	–	(23,593)	(161)	(23,754)
ევრო ობლიგაციების რეფინანსირებასთან დაკავშირებული ხარჯები	–	2,766	–	2,766
სხვა	–	–	303	303
საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	2,704	304,624	1,309	308,637

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

11. სავაჭრო და სხვა კრედიტორული ვალდებულებები

	<i>2020 წლის 31 დეკემბერი</i>	<i>2020 წლის 31 დეკემბერი</i>	<i>2020 წლის 1 იანვარი</i>
სავაჭრო კრედიტორული ვალდებულებები	941	1,782	1,448
სხვა კრედიტორული ვალდებულებები	31	32	-
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული ვალდებულებები	972	1,814	1,448

სავაჭრო და სხვა კრედიტორული ვალდებულებები არის უპროცენტო და, ჩვეულებრივ, 60 დღიან ვადაში იფარება.

12. სხვა მიმდინარე ვალდებულებები

2019 წლის 28 ოქტომბერს ჯგუფმა შეიძინა 100%-იანი წილი შპს „ჰიდროლექს“ კაპიტალში, რომელიც არის სამი ჰიდროელექტრო სადგურის ოპერატორი მთლიანობაში 21 მგვტ დადგმული სიმძლავრით. გადავადებული საზღაური სამართლიანი ღირებულებით 5,479 ლარის ოდენობით, ნაჩვენებია სხვა მიმდინარე ვალდებულებებში ფინანსური მდგომარეობის კომბინირებულ ცალკე გამოყოფილ ანგარიშგებაში 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. ჯგუფმა სრულად დაფარა დაუფარავი საზღაური და 6,008 ლარი გადაუხადა ყოფილ მფლობელებს 2020 წლის განმავლობაში.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სხვა მიმდინარე ვალდებულებები წარმოადგენს დასაქმებულ პირთა ხელშეკრულების შეწყვეტასთან დაკავშირებულ ფულად ანაზღაურებას (მე-18 შენიშვნა).

13. შემოსავალი ელექტროენერჯის რეალიზაციიდან

	<i>2021</i>	<i>2020</i>
შემოსავალი იურიდიულ პირებზე ელექტროენერჯის რეალიზაციიდან	11,499	9,808
შემოსავალი სახელმწიფოსთან დაკავშირებულ საწარმოებზე ელექტროენერჯის რეალიზაციიდან	31,810	28,450
სულ შემოსავალი ელექტროენერჯის რეალიზაციიდან	43,309	38,258

14. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

	<i>2021</i>	<i>2020</i>
ხელფასები	912	1,060
ბონუსები	17	3
სულ ხელფასები და სარგებელი	929	1,063

15. პროფესიული გასამრჯელო

	<i>2021</i>	<i>2020</i>
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯები	526	501
იურიდიული და სხვა პროფესიული გასამრჯელოები	206	176
სულ პროფესიული გასამრჯელო	732	677

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

16. სხვა საოპერაციო ხარჯები

	<i>2021</i>	<i>2020</i>
სადაზღვევო ხარჯი	1,502	1,306
ტექნიკური მომსახურების ხარჯი	169	78
მოკლევადიან იჯარებთან დაკავშირებული საიჯარო ხარჯები	163	139
სხვა ხარჯები	95	210
საქველმოქმედო ხარჯები	34	1
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	1,963	1,734

17. ფინანსური ხარჯები

	<i>2021</i>	<i>2020</i>
საპროცენტო ხარჯი ნასესხებ სახსრებსა და განაწილებულ ევრო ობლიგაციებზე, რომელიც ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით	24,587	23,641
საპროცენტო ხარჯები საიჯარო ვალდებულებაზე	161	111
საბანკო მომსახურების ღირებულება და საკომისიო	125	20
სულ ფინანსური ხარჯები	24,873	23,772

18. არარეგულარული ხარჯები

	<i>2021</i>	<i>2020</i>
სადაზღვევო ანაზღაურების აქტივის განმეორებით შეფასება (მე-6 შენიშვნა)	2,158	575
ხელშეკრულების შეწყვეტასთან დაკავშირებით თანამშრომელთა ფულადი ანაზღაურება (ა)	1,185	-
შემოსავალი „მესტიაჭალა 1“-თან დაკავშირებულ გრანტზე (ბ)	(794)	-
ტექნიკური ფინანსური ანალიზის მომსახურების ღირებულება	669	-
გრძელვადიანი აქტივების ჩამოწერა	569	-
კასლეთის წყალდიდობასთან დაკავშირებული არარეგულარული ხარჯი	263	-
მთლიანი არარეგულარული შემოსავალი/(ხარჯი)	4,050	575

- ა) ხელშეკრულების შეწყვეტასთან დაკავშირებული დასაქმებულ პირთა ფულადი ანაზღაურება აღიარებულია კონსტრუქციულ ვალდებულებასთან მიმართებით, რომელიც არსებობს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმძღვანელობის წევრებთან მიმართებით, რომლის შეწყვეტაც მოსალოდნელია მართვის ცვლილებისთანავე.
- ბ) 2017 წლის 27 დეკემბერს ჯგუფმა მიიღო გრანტი ავსტრიული სახელმწიფო უწყებისგან „Oesterreichische Entwicklungsbank AG („OEEB“)“. 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით გრანტმა შესაბამისად შეადგინა 550 ლარი, 1,422 ლარი და 1,387 ლარი და კონკრეტული სახელშეკრულებო პირობების დაკმაყოფილების შემდეგ ანაზღაურდა მესტიაჭალის ჰიდროელექტრო სადგურების ტექნიკურ დაპროექტებასთან დაკავშირებით გადახდილი თანხები. მიღებული გრანტის თანხა აღირიცხა როგორც გადავადებული შემოსავალი სხვა გრძელვადიან ვალდებულებებში და აღიარდა, როგორც შემოსავალი თანაბარი ოდენობის თანხებით დაკავშირებული აქტივის მოსალოდნელი მომსახურების ვადაზე. 2021 წელს „მესტიაჭალა 1“-ის გაუფასურების გამო, ჯგუფმა აღიარა არარეგულარული შემოსავალი „მესტიაჭალა 1“-თან დაკავშირებულ გრანტთან მიმართებით 794 ლარის ოდენობით.

*(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)***19. პირობითი ვალდებულებები****ვალდებულებები**

2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ჯგუფის კონკრეტულ საწარმოებს (შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური“, სს „სვანეთი ჰიდრო“, შპს „კასლეთი 2“, შპს „ჯეო ენერჯი“, შპს „ჰიდრო ჯორჯია“) ჰქონდათ აქტიური ხელშეკრულებები „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორთან“ ამ საწარმოების მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის გარანტირებულ შესყიდვაზე, რვიდან თხუთმეტ წლამდე პერიოდისთვის. ხელშეკრულების თანახმად, კომპანიები ვალდებული არიან წარმოებული ელექტროენერჯია მიჰყიდონ „ესკოს“ ზამთრის თვეებში, გარდა შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგურისა“, რომელსაც სხვა ვალდებულებებთან ერთად აქვს „ესკოსთვის“ ელექტროენერჯის მთელი წლის განმავლობაში მიყიდვის შესაძლებლობა. ელექტროენერჯის შესყიდვის ხელშეკრულების ამოწურვის ვადების შემდეგია:

- ▶ ჰიდროელექტრო სადგური „მესტიაჭალა 2“ – 2034 წლის აპრილი
- ▶ ჰიდროელექტრო სადგური „კასლეთი 2“ – 2028 წლის სექტემბერი
- ▶ „ქართლის ქარის ელექტროსადგური“ - 2030 წლის იანვარი
- ▶ ჰიდროელექტრო სადგური „ჰიდრო ჯორჯია“ - 2023 წლის დეკემბერი
- ▶ ჰიდროელექტრო სადგური „გეოენერჯი“ - 2022 წლის თებერვალი

გარანტირებული ფასები 1 კვტ/სთ-ზე 5,4 ცენტიდან 6,5 ცენტამდე მერყეობს.

გარემოსდაცვითი საკითხები

საქართველოში კანონმდებლობა გარემოს დაცვის დარგში ვითარდება, ხოლო სამართალგამოყენების ფორმები სამთავრობო ორგანოების მუდმივი გადასინჯვის საგანს წარმოადგენს. ჯგუფი პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას გარემოს დაცვის კანონმდებლობის შესაბამისად. როგორც კი წარმოიქმნება ვალდებულება, ხდება მისი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას არსებულ წესებში ან კანონმდებლობაში ცვლილებების და ასევე სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებული სასამართლო პროცესების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სამართალგამოყენების არსებული კლიმატის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიას გარემოსთვის ზიანის მიყენებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი ვალდებულებები არ აქვს. ჯგუფს არ აქვს ექსპლუატაციიდან ამოღების, აღდგენის ან მსგავსი ვალდებულებები.

გადასახადები

საქართველოში საგადასახადო დეკლარაციები ღია რჩება შემოწმებისთვის სამ წლამდე ვადის განმავლობაში. თუ შემოწმებით დაფიქსირდება საგადასახადო ვალდებულების მცირე რაოდენობით წარმოჩენა, გადასახდელი ჯარიმები და საურავები შესაძლოა არსებითი მნიშვნელობის იყოს საგადასახადო ვალდებულებების არაზუსტად წარმოდგენასთან დაკავშირებით. ჯგუფის ხელმძღვანელობა არ მოელის, რომ შემოწმების შედეგებს არსებითი გავლენა ექნება ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის კომბინირებულ ცალკე გამოყოფილ ანგარიშგებაზე ან მისი ოპერაციების შედეგებზე. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ჯგუფის გადახდილი და დარიცხული აქვს ყველა სათანადო გადასახადი.

*(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)***20. ფინანსური ინსტრუმენტები**

ფინანსური ინსტრუმენტების მიმოხილვა

ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში

2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არსებული ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში მოიცავს საქართველოს ბანკებში მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ თანხებს. ნაღდი ფულის ყველა ნაშთი ბანკში მიმდინარეა და არ არის გაუფასურებული. 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანია ფლობდა 6,581 ლარის ოდენობით შეზღუდული გამოყენების უფლების მქონე ფულად სახსრებს, რომელიც „სითი ბანკის“ ანგარიშზე იყო განთავსებული, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან გაფორმებულ სასესხო ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მინიმალური ფულადი რეზერვების სახით (მე-10 შენიშვნა).

სავაჭრო დებიტორული დავალიანებები

2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, სავაჭრო დებიტორული დავალიანებები წარმოდგენილია მოკლევადიანი დებიტორული მოთხოვნებით ელექტროენერჯის რეალიზაციიდან, „ესკოს“ და ქართული კორპორაციული მომხმარებლების მიმართ. ყველა სავაჭრო დებიტორული დავალიანება კლასიფიცირდება მიმდინარედ და არა გაუფასურებულად.

სავაჭრო ფასიანი ქაღალდები

სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის კომბინირებულ ცალკე გამოყოფილ ანგარიშგებაში 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია „GCAP“-ის მიერ გამოშვებული ევრო ობლიგაციებით, რომლებიც ირლანდიურ საფონდო ბირჟაზეა კოტირებული.

სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა

ჯგუფის ყველა ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების შეფასება 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ხდება შეფასების მეთოდით, რომლის დროსაც გამოიყენება აქტიურ ბაზრის ფასები და მონაცემები.

ფინანსური მდგომარეობის კომბინირებულ ცალკე გამოყოფილ ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ინსტრუმენტები მოიცავს მხოლოდ სავაჭრო ფასიან ქაღალდებს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სამართლიანი ღირებულებით 8,122 ლარი, რომელიც ფასდება მათ შეთავაზებულ ფასზე მიმართებით არააქტიურ ბაზარზე (სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-2 დონე).

სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-2 და მე-3 დონეებში შემავალი სხვა ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება შეფასდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდის გამოყენებით, განაწილებულ ევრო ობლიგაციებთან დაკავშირებული ვალდებულებების გამოკლებით 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომლებიც შეფასდა არააქტიურ ბაზარზე შეთავაზებული ფასების გამოყენებით (მე-2 დონე). ცვალებადი კურსის ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე, შეფასდა, როგორც მათი საბალანსო ღირებულების ტოლი. არაკოტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება შეფასდა მომავალში მოსალოდნელი საპროცენტო ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომლებიც დისკონტირებულია მსგავსი საკრედიტო რისკისა და დარჩენილი დაფარვის ვადის მქონე ახალი ინსტრუმენტებისთვის დადგენილი საპროცენტო განაკვეთებით.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

20. ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულების იერარქიაში დონეების მიხედვით შეფასებული სამართლიანი ღირებულება და ისეთი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით არ ფასდება, იყო შემდეგი:

		2021 წლის 31 დეკემბერი		2020 წლის 31 დეკემბერი		2020 წლის 1 იანვარი	
		სამართ- საბალანსო დონე	ლიანი	საბალანსო დონე	ლიანი	საბალანსო დონე	ლიანი
ფინანსური აქტივები							
ანაზღაურებადი აქტივები (მე-6 შენიშვნა)	დონე 3	2,318	2,318	2,808	2,808	46,457	46,457
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	დონე 1	36,948	36,948	63,262	63,262	26,799	26,799
ფინანსური ვალდებულებები							
ნასესხები სახსრები (მე-10 შენიშვნა)	დონე 2	307,328	319,959	318,647	326,552	274,391	274,391
საიჯარო ვალდებულებები	დონე 2	1,309	1,309	1,237	1,237	657	657
გრძელვადიან აქტივებში გადასახდელი თანხები	დონე 3	972	972	1,814	1,814	1,448	1,448

სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული იყო შემდეგი მეთოდები და დაშვებები:

- ▶ ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების, ანაზღაურებადი აქტივების და სავაჭრო და სხვა კრედიტორული ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მათ საბალანსო ღირებულებას არის მიახლოებული, ამ ინსტრუმენტების დაფარვის მოკლე ვადის გამო;
- ▶ ფიქსირებული განაკვეთის მქონე ნასესხები სახსრებისა და საიჯარო ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით მოქმედ ბაზარზე საანგარიშო თარიღისათვის არსებული განაკვეთების გამოყენებით.
- ▶ ცვალებადი კურსის მქონე ნასესხები სახსრების სამართლიანი ღირებულება შეფასდა, როგორც მათი საბალანსო ღირებულების ტოლი.

ფინანსური ინსტრუმენტებისთვის დამახასიათებელი რისკი

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, ჯგუფი გასწევს საპროცენტო, სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკებს. ჯგუფი არ ფლობს ცვალებადი განაკვეთის მქონე ფინანსურ ინსტრუმენტებს, ამიტომ ის არ გასწევს საპროცენტო განაკვეთის რისკს. ჯგუფის ხელმძღვანელობა ზედამხედველობს ამ რისკების მართვას.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

20. ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

სავალუტო რისკი

2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, სავალუტო რისკს წარმოშობს ევროსა და ლარში გამოხატული ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, სავაჭრო და სხვა კრედიტორული ვალდებულებები და ნასესხები სახსრები. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გონივრულობის ფარგლებში შესაძლო ცვლილების ეფექტი მოცემულია ცხრილში ქვემოთ:

ვალუტა	ზრდა/ კლება, % 2021 წლის 31 დეკემბერი	გავლენა მოგებაზე 2021 წლის 31 დეკემბერი
ლარი	15%	302
ლარი	-7%	(129)

ვალუტა	ზრდა/ კლება, % 2021 წლის 31 დეკემბერი	გავლენა მოგებაზე 2021 წლის 31 დეკემბერი
ევრო	14%	224
ევრო	-6%	(105)

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გონივრულობის ფარგლებში შესაძლო ცვლილების ეფექტი მოცემულია ცხრილში ქვემოთ:

ვალუტა	ზრდა / კლება, % 2020 წლის 31 დეკემბერი	გავლენა მოგებაზე 2020 წლის 31 დეკემბერი
ლარი	15%	420
ლარი	-7%	(196)

ვალუტა	ზრდა / კლება, % 2020 წლის 31 დეკემბერი	გავლენა მოგებაზე 2020 წლის 31 დეკემბერი
ევრო	9%	275
ევრო	-10%	(306)

2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, გონივრულობის ფარგლებში შესაძლო ცვლილების ეფექტი მოცემულია ცხრილში ქვემოთ:

ვალუტა	ზრდა / კლება, % 2020 წლის 1 იანვარი	გავლენა მოგებაზე 2020 წლის 1 იანვარი
ლარი	10.00%	1,207
ლარი	-5.00%	(603)

ვალუტა	ზრდა / კლება, % 2020 წლის 1 იანვარი	გავლენა მოგებაზე 2020 წლის 1 იანვარი
ევრო	11.00%	159
ევრო	-8.00%	(115)

*(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)***20. ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)***საკრედიტო რისკი*

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფმა შესაძლოა განიცადოს ზარალი, თუ მისმა კლიენტებმა ან მონაწილე მხარეებმა ვერ შეძლეს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება. ჯგუფი საკრედიტო რისკს მართავს და აკონტროლებს რისკის მოცულობაზე მისთვის მისაღები ლიმიტის დაწესებით კონტრაქტებთან ან კონტრაქტების ჯგუფთან მიმართებით. ასეთი რისკების მონიტორინგი ხდება უწყვეტად, ხოლო მათი გადახედვა ხდება ყოველწლიურად ან უფრო ხშირად.

2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ჯგუფს არ აქვს საკრედიტო რისკის მქონე სხვა მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივები, გარდა შემდეგისა:

- ▶ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები: 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მთლიანი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 36,948 ლარის ოდენობით (2020 წლის 31 დეკემბერს: 63,262 ლარი, 2020 წლის 1 იანვარს: 20,218 ლარი) განთავსებული იყო ქართულ ბანკებში, რომლებსაც „Fitch“-ის სარეიტინგო სააგენტოს მიერ მინიჭებული აქვს „BB-/bb-“ შეფასებები;
- ▶ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება (მე-8 შენიშვნა).
- ▶ „GCAP“-ის მიერ გამოშვებული სავაჭრო ფასიანი ქაღალდები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 8,122 ლარის ოდენობით სამართლიანი ღირებულებით (2020 წლის 1 იანვარს: ნული) საკრედიტო რეიტინგით B+ „S&P Global“-სგან 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტების და სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების ნაშთები კლასიფიცირებულია მიმდინარედ და ისინი გაუფასურებული არ არის. აღნიშნული ფინანსური აქტივების მოკლევადიანი (ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებთან მიმართებით) და ლიკვიდური ბუნებიდან გამომდინარე, ჯგუფმა შეაფასა და არაარსებითად მიიჩნია შესაბამისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. ამიტომ, ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების და სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებებისთვის ფასს (IFRS) 9-ის შესაბამისად გაუფასურება აღიარებული არ არის. ყველა ფინანსური აქტივის საკრედიტო ხარისხი, რომლებიც არც ვადაგადაცილებულია და არც გაუფასურებული, სათანადოა და ხდება მათი მუდმივი მონიტორინგი საკრედიტო ხარისხში შესაძლო უარყოფითი ცვლილებების დროულად გამოსავლენად. არ არსებობს ისეთი ფინანსური აქტივები, რომელთა პირობები რესტრუქტურირებულია და რომლებიც სხვა შემთხვევაში, აღნიშნული რესტრუქტურირების გარეშე, ვადაგადაცილებული ან გაუფასურებული იქნებოდა. ჯგუფს არ აქვს შიდა საკრედიტო რეიტინგის განსაზღვრის სისტემა მისი სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების საკრედიტო რეიტინგის შეფასებისთვის.

2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულება ყველაზე კარგად ასახავს მათთვის დამახასიათებელ მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ საწარმოს გაუჭირდება გადახდის ვალდებულებების შესრულება, როდესაც გადახდის დრო დადგება ჩვეულებრივ ან სტრესულ ვითარებებში. ხელმძღვანელობა ყოველთვიურად აკონტროლებს ჯგუფის ფულადი სახსრების მოძრაობის მცოცავ პროგნოზებს. ჯგუფი ცდილობს შეინარჩუნოს სტაბილური ფინანსირების ბაზა, რომელიც ძირითადად მოიცავს ნასესხებ სახსრებს და სავაჭრო და სხვა კრედიტორულ ვალდებულებებს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია 2021 წლისა და 2020 წლის და 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არსებული ფინანსური ვალდებულებები ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებების საფუძველზე.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

20. ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

	<i>1 წელზე ნაკლები</i>	<i>1-3 წელი</i>	<i>3-5 წელი</i>	<i>5 წელზე მეტი</i>	<i>სულ</i>
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით					
გრძელვადიანი და მოკლევადიანი ნასესხები სახსრები და გამოშვებული ობლიგაციები	32,454	45,816	318,497	-	396,767
სავაჭრო და სხვა კრედიტორული ვალდებულებები	972	-	-	-	972
საიჯარო ვალდებულებები	118	224	224	3,648	4,214
სულ მომავალი გადახდები	33,544	46,040	318,721	3,648	401,953
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით					
გრძელვადიანი და მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	10,098	73,472	360,330	-	443,900
სავაჭრო და სხვა კრედიტორული ვალდებულებები	1,814	-	-	-	1,814
საიჯარო ვალდებულებები	97	193	193	3,960	4,443
სულ მომავალი გადახდები	12,009	73,665	360,523	3,960	450,157
2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით					
გრძელვადიანი და მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	18,483	62,432	54,363	236,293	371,571
სავაჭრო და სხვა კრედიტორული ვალდებულებები	1,448	-	-	-	1,448
საიჯარო ვალდებულებები	89	178	178	3,772	4,217
სულ მომავალი გადახდები	20,020	62,610	54,541	240,065	377,236

ლიკვიდურობის რისკის მართვისას ჯგუფის ხელმძღვანელობა ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ ჯგუფი შეძლებს ვადადამდგარი ვალდებულებების დაფარვას განაწილებულ ევრო ობლიგაციებზე მომავალ კუპონურ გადახდებთან მიმართებით განხორციელებული ოპერაციებიდან მიღებული ფულადი ამონაგების გამოყენებით (მე-10 შენიშვნა). როგორც მე-10 შენიშვნაშია განხილული, ჯგუფი მოელის ევრო ობლიგაციების სრულად დაფარვას 2022 წელს, რაც ზემოთ ხსენებულ ცხრილში განსაზღვრულზე ადრე მოხდება, სახელმწიფო ფულადი ნაკადების საფუძველზე. ჯგუფის მფლობელი „GCAP“ მოწოდებულია უზრუნველყოს აქციონერული სესხი ევრო ობლიგაციების დასაფინანსებლად (1-ლი შენიშვნა), რომელიც მოსალოდნელია, რომ ნაწილობრივ დაფინანსდება ადგილობრივი ობლიგაციების გამოშვებით.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

21. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები

ბასს (IAS) 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს ან ერთობლივად გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის. დაკავშირებულ მხარეებთან დადებული ყველა გარიგება, რომელიც ქვემოთ არის განხილული, განხორციელდა გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით.

დაკავშირებულ მხარეთა შორის დადებული გარიგებების მოცულობა, წლის ბოლოსთვის დაუფარავი ნაშთები და შესაბამისი ხარჯი და შემოსავალი წლის განმავლობაში ასეთი იყო:

	2021 წლის 31 დეკემბერი		2020 წლის 31 დეკემბერი		2020 წლის 1 იანვარი	
	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული მშობელი კომპანია	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული მშობელი კომპანია	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული მშობელი კომპანია	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები
აქტივები						
ანაზღაურებადი აქტივები (მე-6 შენიშვნა)	-	2,318	-	2,808	-	46,457
სავაჭროდ ფლობილი ფინანსური აქტივები (ა)	8,122	-	-	-	-	-
ნასესხები სახსრები 1 იანვრის მდგომარეობით	-	159	35,691	-	-	-
აღებული სესხები და წლის განმავლობაში დარიცხული პროცენტი	-	2,545	2,580	159	65,125	-
ნასესხები სახსრების დაფარვა, წლის განმავლობაში დარიცხული პროცენტის ჩათვლით	-	-	(38,271)	-	(29,434)	-
ნასესხები სახსრები 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	2,704	-	159	35,691	-

(ა) 2021 წლის მარტის თვეში „ჯორჯია გლობალ იუთილითიზმა“ შეიძინა 2,500 ათასი აშშ დოლარის 2,493 ობლიგაცია, რომელიც მშობელი კომპანიის მიერ იყო გამოშვებული 2018 წელს ირლანდიურ საფონდო ბირჟაზე. შეძენილი ობლიგაციები ჯგუფმა აღიარა წინამდებარე კომბინირებულ ცალკე გამოყოფილ ფინანსურ ანგარიშგებებში (მე-2 შენიშვნა). ობლიგაციები ირიცხება წლიური 6,125% და მას ვადა გასდის 2024 წელს. ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, როგორც სავაჭროდ ფლობილი. 2021 წლის განმავლობაში ჯგუფმა ობლიგაციებზე აღიარა 390 ლარის ოდენობით ფინანსური შემოსავალი.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

21. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

	<u>2021</u>	<u>2020</u>
შემოსავალი და ხარჯები		
შემოსავალი ელექტროენერჯის რეალიზაციიდან ¹	7,339	7,223
საქმიანობის შეწყვეტის ანაზღაურების შემოსულობა საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოებისგან ²	587	4,252
მშობელი კომპანიის მიმართ არსებული ფინანსური ხარჯი	-	(1,897)
ფინანსური შემოსავალი მშობელი კომპანიისგან	390	-
სხვა საოპერაციო ხარჯი საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოებისთვის ³	(2,421)	-

¹ შემოსავალი „ჯორჯია გლობალ იუთილითიზის“ შვილობილი კომპანიებისთვის - „GETC“ და „რუსთავი წყალი“ - მიწოდებული ელექტროენერჯიდან.

² საქმიანობის შეწყვეტის ანაზღაურებიდან მიღებული შემოსავალი 2021 და 2020 წლებში წარმოადგენს სადაზღვევო ზარალს საქმიანობის შეწყვეტიდან, რომელიც გამოწვეული იყო სადაზღვევო მოვლენით.

³ სხვა საოპერაციო ხარჯები მეტწილად მოიცავს წლის სადაზღვევო ხარჯს.

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება შეადგენდა შემდეგს:

	<u>2021</u>	<u>2020</u>
ხელფასების და დასაქმებულ პირთა მოკლევადიანი სარგებელი	110	72
პრემია ფულადი სახით	55	18
შრომითი საქმიანობის შეწყვეტის გასამრჯელო	1,185	-

22. იჯარა

ჯგუფი, როგორც მოიჯარე

ჯგუფს აქვს საიჯარო ხელშეკრულებები სხვადასხვა მიწის ნაკვეთზე, შენობაზე, ავტოსატრანსპორტო საშუალებასა და ოპერაციებში გამოყენებულ სხვა აღჭურვილობაზე. ჯგუფის ვალდებულებები მის იჯარასთან დაკავშირებით უზრუნველყოფილია მეიჯარის უფლებით იჯარით დატვირთულ აქტივებზე. ზოგადად, ჯგუფს ეკრძალება საიჯარო აქტივების გადაცემა და ქვეიჯარა. ზოგიერთი საიჯარო ხელშეკრულება მოიცავს მისი გახანგრძლივების და შეწყვეტის შესაძლებლობას, ასევე ცვლად საიჯარო გადასახდელებს, რომლებიც ქვემოთ არის დამატებით განხილული. ამ იჯარებისთვის, ჯგუფი სარგებლობს „მოკლევადიანი იჯარის“ და „დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარის“ აღიარებისგან გათავისუფლების უფლებით.

აქტივის გამოყენების უფლების აღიარებული საბალანსო ღირებულება (მეტწილად საოფისე ფართის იჯარასთან) და მოძრაობა პერიოდის განმავლობაში მოიცავს შემდეგს:

	<u>2021</u>	<u>2020</u>
1 იანვარს	1,279	699
შესყიდვები	188	735
ცვეთის ხარჯი	(74)	(49)
გაუქმებული ხელშეკრულებები	(47)	(173)
საკურსო სხვაობები	(92)	67
31 დეკემბერს	1,254	1,279

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

22. იჯარა (გაგრძელება)

საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება და მოძრაობები პერიოდის განმავლობაში იყო შემდეგი:

	<i>2021</i>	<i>2020</i>
1 იანვარს	1,237	657
შესყიდვები	188	690
გადახდილი ავანსები	-	45
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	161	111
გადახდილი პროცენტი	(161)	(111)
გაუქმებული ხელშეკრულებები	(47)	(173)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	(53)	(58)
გაცვლით კურსის განაკვეთის ცვლილება	(16)	76
	1,309	1,237
31 დეკემბერს		
მიმდინარე	118	97
გრძელვადიანი	1,191	1,140

ქვემოთ მოცემულია მოგებაში ან ზარალში აღიარებული თანხები:

	<i>2021</i>	<i>2020</i>
აქტივის გამოყენების უფლების ცვეთის ხარჯი	(74)	(49)
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	(161)	(111)
იჯარებთან დაკავშირებული ხარჯი (სხვა საოპერაციო ხარჯებში შესული)	(163)	(139)
მოგებაში ან ზარალში აღიარებული მთლიანი თანხა	(398)	(299)

დაბალფასიან და მოკლევადიან იჯარებში შესულმა მთლიანმა საიჯარო გადასახდელებმა წლის განმავლობაში 555 ლარი (2020 წ.: 496 ლარი) შეადგინა.

ჯგუფს რამდენიმე საიჯარო ხელშეკრულება აქვს, რომლებიც გაგრძელების და შეწყვეტის შესაძლებლობას იძლევა. ეს შესაძლებლობები შეთანხმებულია საიჯარო აქტივის პორტფელის მართვის მოქნილობის და ჯგუფის ბიზნეს-საჭიროებებთან მორგების უზრუნველსაყოფად. ხელმძღვანელობა იყენებს მნიშვნელოვან მსჯელობას იმის განსასაზღვრად, გაგრძელების და შეწყვეტის ამგვარი შესაძლებლობები გონივრულ ფარგლებში გამოყენებადია თუ არა. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 4,096 ლარის ოდენობით მომავალი საიჯარო გადასახდელები მოიცავდა იჯარის ვადას შეწყვეტის ვარიანტთან მიმართებით (2020 წ.: 4,346, 1 იანვარი: 4,128 ლარი).

23. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები

„ჯორჯია გლობალ იუთილიტიზის“ მაკონტროლებელი მფლობელის ცვლილება

2022 წლის 3 თებერვალს, „საქართველოს კაპიტალის“ მიერ გაყიდვიდან ამონაგები თანხის მიღებით და „ჯორჯია გლობალ იუთილიტიზის“ შესაბამისი აქციების „Aqualia“-სთვის გადაცემით, დასრულდა კომუნალური წყალმომარაგების ბიზნესის გაყიდვის გარიგების პირველი ეტაპი. შესაბამისად, „Aqualia“ გახდა „ჯორჯია გლობალ იუთილიტიზის“ ახალი მაკონტროლებელი მფლობელი.

*(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)***23. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები (გაგრძელება)****ომი უკრაინაში**

უკრაინაში ომის შედეგად ბევრმა წამყვანმა ქვეყანამ და ეკონომიკურმა კავშირმა უმკაცრესი ეკონომიკური სანქციები დაუწესა რუსეთს, მათ შორის რუსულ ბანკებს, სხვა საწარმოებსა და ფიზიკურ პირებს. ომის დაწყების შემდეგ რუსული რუბლი უცხოურ ვალუტებთან მიმართებით მნიშვნელოვნად გაუფასურდა, ასევე გაუფასურდა რუსული ფასიანი ქაღალდების ბაზრების და სხვა ბაზრებზე რეგისტრირებული რუსული კომპანიების ღირებულება. სიტუაცია ჯერ კიდევ ვითარდება, თუმცა უკვე გამოიწვია ჰუმანიტარული კრიზისი და უზარმაზარი ეკონომიკური ზარალი უკრაინაში, რუსეთსა და დანარჩენ მსოფლიოში. უკრაინა და რუსეთი საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორები არიან. მოსალოდნელია, რომ ომს უარყოფითი გავლენა ექნება საქართველოს ეკონომიკაზე. ვინაიდან ომი ჯერაც მიმდინარეობს, შეუძლებელია იმის სარწმუნოდ შეფასება, თუ როგორ აისახება ეს კომპანიის საქმიანობაზე, რადგან გაურკვეველია, რა მასშტაბის გავლენას მოახდენს ზოგადად ეკონომიკაზე. ჯგუფის ხელმძღვანელობა ადევნებს თვალს ეკონომიკურ ვითარებას შექმნილ გარემოში. ჯგუფი უკრაინის ომს მიიჩნევს საბალანსო უწყისის შემდგომ არამაკორექტირებელ მოვლენად.

„მესტიაჭალა 1“-ის ჰიდროელექტრო სადგურის აქტივების გაყიდვა

2022 წელს ჯგუფმა გააფორმა ნასყიდობის ხელშეკრულება მესამე მხარესთან ჰიდროელექტრო სადგურის „მესტიაჭალა 1“ აქტივების ჩამოწერისთვის, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წმინდა საბალანსო ღირებულებით 2,618 ლარი, მთლიანი საზღაურით 3,000 აშშ დოლარი, საიდანაც 300 აშშ დოლარი გადაეცა ნასყიდობის ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღში. დანარჩენი 2,700 აშშ დოლარის გადაცემა უნდა მოხდეს ნასყიდობის ხელშეკრულებაში განსაზღვრული კონკრეტული პირობების შესრულებისთანავე.

მომრაობა სავალუტო კურსში

2022 წლის 5 აგვისტოს მდგომარეობით, აშშ დოლარი ლართან მიმართებით 13%-ით გაუფასურდა, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებულ კურსთან შედარებით.

გაცემული სესხები

2022 წელს ჯგუფმა საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოზე გასცა აშშ დოლარში გამოხატული სესხები მთლიანი ღირებულებით 2,700 აშშ დოლარის (8,498 ლარი) ოდენობით.